

გაზეთი ბეჭედავს „ვერსიას“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

№100 (995) 20 - 21 თებერვალი, 2014 წელი

მთხვაბათი

პარასკევი

უზენაესი სასამართლოს
მოსამართლეების დანიშვნის
შეფარების რეალური მიზეზი



გვ. 4

გაკვლავობის აპიდეზია

**რატომ
სოსავან
ყოფილი
პატიმრები
სოლავს
– სინის
ფსიქოლოგის
შეფასება**

გვ. 3



როგორ აქცევიან სინეში გაკვლავ ქმრებს

**„ოლიმპიური პარსკვლავის“
დირექტორზე საქმე ზურაბ
აღიშვილზე შექარა**

დედა რაზივსვიდი ძმის დაქვრას
უანყოფს და პროკურატურას
საჩხედით მიმართავს

გვ. 2

**პრეზიდენტისა და
პრემიერის დანიშნულების
მორიგი რაუნდი იწყება?**

**რევორტაჟი სინარტყელას
იქითა საქართველოდან**

**რატომ იყო შეუქლებელი
საყდრისი-ყარაღიანის
ბორცვზე ოქროს მოპოვება
პრეისტორიულ ხანაში**

გვ. 7

**„რეაქტიული
ფსიქოზი გვაქვს!“**

გვ. 4

ზაზა პაპუაშვილის პოლიტიკაგნობი



**„სოსების რევოლუცია“
საპატრიარქო მოახდომს!**



გვ. 5

ნაციონალ მეტი გოცინიძის
სკანდალური ინტერვიუ

მირაზ ბერიძე
599-45-50-26

ევროსაბჭოს მომხსენებელი მიქაელ იენსენი საქართველოს უმთავრეს პრობლემად პოლიტიკურ პოლარიზაციას მიიჩნევს: „უმთავრესი პრობლემა პოლიტიკური პოლარიზაციაა. ევროპაში უმრავლესობა და უმცირესობა თანამშრომლობენ. საქართველოში კი, „ქართულ ოცნებასა“ და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის ნაპრალია. არჩევნებიდან ორი წლის შემდეგ პოლარიზება ამ ორ პარტიას შორის ჯერ კიდევ თვალსაჩინოა. ეს არც პარტიებისთვისაა სასარგებლო და არც ქართველი ხალხისთვის. ვხედავთ, ქვეყანაში ერთი პარტიაა სათავეში, სხვები კი ზეწოლის ქვეშ არიან. ბევრი მაგალითი ვნახეთ, როდესაც უმრავლესობა ოპოზიციას ახდენდა ზეწოლას. ისევე ოპტიმიზმი გვაქვს, რომ საქართველოს შეუძლია, იყოს იმ გზაზე, რომელსაც მივსალმებით. თუმცა ეს გრძელი გზაა“.

საქართველოს უმთავრესი პრობლემა – პოლარიზაცია?

„დასავლეთის შეფასებები ხშირად რეალობას აცდენილია“

ამერიკელი მეცნიერი **ფრენსის ფუკუიამა** აცხადებს, რომ საქართველოში პოლიტიკური გარემო პოლარიზებულია, რაც ცუდი დემოკრატიისთვის: „საქართველოში ჩატარებული საჯარო სექტორის რეფორმა მნიშვნელოვანი იყო. მთავრობამ ის უნდა შეინარჩუნოს და გააძლიეროს. დემოკრატია გულისხმობს კანონის უზენაესობას, მიუკერძოებელ სასამართლოს. ეს კონსოლიდაციას მოითხოვს. საქართველოში პოლიტიკური გარემო ძალიან პოლარიზებულია, რაც არ არის კარგი დემოკრატიისთვის. კარგი დემოკრატია შეჯიბრებითობის პრინციპსა და ნდობის მაღალ მაჩვენებელს მოითხოვს. ქართველმა პოლიტიკოსებმა ამაზე უნდა იმუშაონ. საქართველოში არის დემოკრატია — ბოლო წლებში ჩატარებული არჩევნები ამას ცხადყოფს, საქართველომ ასევე გააუმჯობესა კორუფციასთან ბრძოლის მაჩვენებელი, რაც კარგი გაკვეთილია უკრაინისთვის“.

„ვერსიასთან“ საუბრისას, პოლიტოლოგი **რამაზ სანაძე** დასავლელი ექსპერტების მოსაზრებას პოლარიზაციის შესახებ არ იზიარებს: „ჩემდა სამწუხაროდ, არ ვეკუთვნი იმ პოლიტოლოგთა რიცხვს, ვისთვისაც დასავლეთის შეფასება ჭეშმარიტებაა. სამწუხაროდ იმიტომ, რომ, როცა რომელიმე მხარის ასეთი ნდობა გვაქვს, ცხოვრება უფრო ადვილია. დასავლეთის შეფასებები ხშირად რეალობას აცდენილია. ამან განაპირობა ტრაგედია უკრაინაში. ასეთი იყო სააკაშვილის ხელისუფლების მხარდაჭერა. ასე რომ, დასავლეთმა თქვა და ეს ჭეშმარიტებაა — ამ სულისკვეთებაში ვერავის შევუერთდები. იქაური ანალიტიკოსები და, მით უმეტეს, პოლიტიკოსები ისეთივე ადამიანები არიან, როგორებიც ჩვენ ვართ. როგორც არ გვესმის, კარგად ბევრი რამ ვეროპოლიტიკაში, ისე დასავლეთსაც, ბოლომდე არ ესმის, რა ხდება მათი სტრუქტურების გარეთ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღევანდელი ვითარების პოლიტიკურ პოლარიზაციად შეფასება, რბილად რომ ვთქვათ, ზედპირულია. პოლარიზაცია ყველა სახელმწიფოშია, სადაც მრავალპარტიული სისტემაა. თუ მისი დრამატიზება ხდება იმიტომ, რომ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს იჭერენ, ეს პოლიტიკური მოტივით არაა გამოწვეული. დასავლეთი რაც უფრო დაავიანებს გააზრებას, რომ ამ ტიპის დაპირისპირებაში პოლიტიკური მოტივები არ არის და რეალურად, წინა ხელისუფლება დანაშაულს სწადიოდა, მით უკეთესი მისთვის. სხვა შემთხვევაში, შეიძლება ქართულ სივრცეში ანტიდასავლური განწყობა მიიღოს. მგონი, ეს არც დასავლეთს უნდა აწყობდეს. მოსახლეობა აგრესიულადაც კია განწყობილი ქართველი ოცნების მიმართ სწორედ არაპოლარიზებულიების გამო და თუ ვითარება გამწვავდა, დასავლეთსაც ზედ მიაყოლებს. პროკურატურაში ათასობით საქმე პოლიტიკური მოტივით ხომ არ არის შეტანილი? ესენი ხომ რეალურად დაზარალებული ადამიანებია? დასავლეთს ამის დანახვა არ უნდა, არ აწყობს, რადგან წლების განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლებას გუნდრუჟს უკმევდა. ასე რომ, ამ რეცეპტით ქვეყანას სამეფო არ აქვს. საშველია იმით, რომ ეკონომიკა წელში უნდა გაიმართოს, ხელისუფლება გააქტიურდეს, სამუშაო ადგილები შეიქმნას, ყველაზე მთავარი კი საზოგადოების აქტიურობა“.

პარიზის ვიზიტი

კახა კალაძე ქალაქზე განხორციელებული ქალაქობით აღფრთხილებულია

ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ბოლო დროს ქალაქზე განხორციელებული ძალადობის Facebook-ის საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა. „სირცხვილია, საქართველოში ქალი მამაკაცის ძალადობისგან დასაცავი რომ გახდეს... ვერ წარმომიდგენია, იყო მამაკაცი და ხელი აღმართო ქალზე... არც კი ვიცი, როგორ გამოვხატო ის სამინილო განცდა და ემოცია, რაც ბოლო თვეებში, ბოლო დღეებში მომხდარმა არაადამიანური ძალადობის ფაქტებმა გამოიწვია ჩემში. ძნელია, დანერო რამე, როცა აღფრთხილების და უსუსურობის განცდაა — რატომ მოკლეს?! თითოეული ჩვენგანი არის ადამიანი, ღირსების მატარებელი და საზოგადოების წევრი. როცა საუბარია ძალადობაზე ოჯახში, ქალაქზე ან ბავშვებზე, როცა ხდება მკვლურება, პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანია არ აქვს სტატისტიკა თუ სოციალურ-საზოგადოებრივ პოზიციას. ადამიანის სიცოცხლე, ქალის სიცოცხლე არის განუზომელი ღირებულება!“ — წერს კალაძე თავის აცეხოკ-გვერდზე. „გურიანისი“



„ოლიმპიური პარსკვლავის“ ღირებულება საქმე ზურაბ ალიშვილმა შეაქრა



დედა რაზიკაშვილი ძმის დაქვრას უარყოფს და პროკურატურას სარჩევით მიმართავს

მანია მიშელაძე
593-51-90-12

გავრცელებული ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა პარასკევს, 17 ოქტომბერს, შარტავას ქუჩაზე მშენებარე „ოლიმპიური ვარსკვლავის“ ღირებულო ზაზა რაზიკაშვილი, 15 000 000 ლარის მითვისების ბრალდებით დააკავა, თუმცა „ოლიმპიური ვარსკვლავის“ წარმომადგენელი, ლელა რაზიკაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ზაზა რაზიკაშვილი არავის დაუკავებია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, 2006-2010 წლებში, ზაზა რაზიკაშვილმა შარტავას ქუჩაზე მშენებარე კორპუსის მოზინდრეთა თანხები მიითვისა — მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას მოქალაქეთა მიერ საცხოვრებელი და კომერციული ფართის შექმნის სანაცვლოდ შეტანილი თანხის მხოლოდ მცირე ნაწილი მოხმარდა. მოზინდრეებსა და კომპანიას შორის დავა წლებია, გრძელდება და ეს კორპუსი დღესაც დაუსრულებელია. გამოძიების ინფორმაციით, ზაზა რაზიკაშვილმა 14 800 000 ლარი მართლსაწილადმდეგოდ მიითვისა, რითიც 100-ზე მეტ მოქალაქეს დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი მიაყენა. საგამოძიებო სამსახურის ცნობით, რაზიკაშვილი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ოლიმპიური ვარსკვლავის“ თავმჯდომარე და შპს „ოლიმპიური ვარსკვლავის“ დირექტორია. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, რაც 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. როგორც **ლელა რაზიკაშვილი** „ვერსიას“ აუხსნა, ზაზა რაზიკაშვილი საგამოძიებო სამსახურში დაკითხვაზე დაიბარეს და მალევე გამოუშვეს. მართალია, „ოლიმპიური ვარსკვლავის“ დირექტორის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მაგრამ ლელა რაზიკაშვილი განმარტავს, რომ ეს ბრალდება ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროს, ზურაბ ადიშვილის დაკვეთითაა შეითხზილი: „სამწუხაროდ, საზოგადოებაში ცრუ ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს ზაზა დააკავეს და სისხლის სამართლის

საქმე აღიძრა. ყველაფერი ჯერ კიდევ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, წინასწარჩვენო პერიოდში დაიწყო, როდესაც ჩვენი კომპანიის დაზარალებული მოზინდრეების ნაწილი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა გადაიბირეს. მაშინდელი ხელისუფლების მითითებით, ამ ადამიანებმა მიტინგები გამართეს და მოითხოვეს, კომპანიაში ფინანსური სამსახური შემოსულიყო და აუდიტი განხორციელებინა. ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებმა ჩვენი კომპანიის ხელმძღვანელების დასჯა გადაწყვიტეს, რადგან წინასწარჩვენო პერიოდში საგრძობლად ვაქტიურობდით. ამ მიტინგიდან მეორე დღესვე, კომპანიაში ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები შემოვიყვანდნენ, ანგარიშები და დოკუმენტები დააყადანეს და საბუთების შესწავლა დაიწყო. ვერ გეტყვით, კონკრეტულად რა შეისწავლეს, ან რა დასკვნა დანერგეს, მაგრამ 2012 წლის აგვისტოში, მაშინდელმა ხელისუფლებამ კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის“ მილიონობით ლარის ჯარიმები დააკისრეს. ასე გაჩნდა 15 000 000-ლარიანი ჯარიმის თემაც, რომელიც რამდენიმე დღეში 27 000 000-მდე, ბოლოს კი, 80 000 000 ლარამდე ავიდა. ზუსტად იმ პერიოდში ანუ 2012 წლის აგვისტოში, კომპანიიდან გამავდეს. ამ ამბების პარალელურად, „ქართუ ბანკის“ გარანტია უკვე ხელთ გვექონდა და ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს მიმართეთ, რათა წინა ხელისუფლების მიერ ჩვენი კომპანიისთვის არასწორად დაკისრებული ჯარიმების ჩამოწერის პროცედურა დაწყებულიყო“. მისივე თქმით, ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნების მიერ გადაბირებულმა მოზინდრეებმა ამხანაგობა შექმნეს, კრება მოიწვიეს და ზაზა რაზიკაშვილს თავმჯდომარის პოსტი დაატოვებინეს, რაც უკანონო ქმედება იყო და ამით იმის წინაპირობა შექმნეს, რომ ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში, ჯარიმების ჩამოწერის პროცედურა დროში განვლილიყო. ლელა რაზიკაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ „ოლიმპიური ვარსკვლავის“ მოზინდრეებს შორის ბევრი გულწრფელად და ობიექტურადაა განწყობილი და ეს ხელმძღვანელობას ძალიან კარგად ესმის. მთლიანობაში 300 მოზინდრეა დაზარალებული, მაგრამ აქედან 90-მდე აქტიურობს:

„ის, რაც ახლა ხდება, სწორედ ამ ამბის ლოგიკური გაგრძელებაა. დღეს ზაზა რაზიკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე იმ შემთხვევის საფუძველზე აღძრეს, რომელიც მაშინდელი მთავარი პროკურორის, ზურაბ ადიშვილის ინიციატივით, ჩვენს კომპანიაში ჩატარებული ფინანსური აუდიტის შედეგად, დასკვნის სახით, შეითხზნეს. მეტსაც გეტყვით, დაზარალებული მოზინდრეების გარკვეულმა ჯგუფმა ამხანაგობა რომ შექმნა და წევრების რაოდენობა არ ჰყოფინდა, სიაში ისეთი ხალხიც შეიყვანა, რომელსაც ჩვენთან კავშირი არ ჰქონდა. ნაციონალურ მიერ გადაბირებულ მოზინდრეებს შორის დღის ჩანტლაძე აქტიურობს, რომელიც საზღვარზე ნარკოტიკების შემოტანის ბრალდებით იყო დაკავებული. ეს ის დღის ჩანტლაძეა, რომელიც მაშინდელი ხელისუფლების დაკვეთით აქტიურობდა, რათა „ოლიმპიური ვარსკვლავი“ გაკოტრებულიყო და „საქართველოს ბანკს“ მმართველობაში გადასცემოდა“. ლელა რაზიკაშვილი „ვერსიას“ განუცხადა, რომ ყველა საჭირო დოკუმენტი ხელთ აქვს და უახლოეს დღეებში, ყალბ სიბეზარს დაკავშირებით, მთავარ პროკურატურას მიმართავს. რაც შეეხება მილიონობით ლარის ჯარიმას, ლელა რაზიკაშვილი ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებას ელის.

რაგონი ხოსავანი ყოფილი პატიმარი სოლას და როგორ აქსევიან სიხეში აკვლელ ქმრებს

პატიმარი №0578

ამ თემაზე მუშაობა შაბათს, ნაშუადღევს დაიწყო და დაიწყო იმით, რომ ბოლო ხუთი თვის განმავლობაში 18 შემთხვევა დაფიქსირდა, თუ როგორ მოკლა ქმარმა ცოლი. შაბათს საღამოს კი სტატისტიკას კიდევ ერთი საზარელი დანაშაული მიემატა — გურჯაანის სოფელ დარჩეთში 73 წლის კაცმა 68 წლის მეუღლეს ყელი გამოჭრა... უმრავლეს შემთხვევაში, დამნაშავეები ყოფილი პატიმრები არიან. ახლა საუბარი იმაზე არ არის, ვინ ამნისტიით გამოვიდა და ვინ ისე, რომ სასჯელი ბოლომდე მოიხადა, რადგან, ადრე თუ გვიან (სამუდამო პატიმრობა მისჯილების გარდა), სასჯელს ყველა ამთავრებს. მთავარი ის ფსიქოლოგიური მომენტია, რის გამოც ყოფილი პატიმრები ამ ნაბიჯზე მიდიან და ნებით უბრუნდებიან იმ ჯოჯოხეთის, რასაც ციხე ჰქვია. საინტერესოა, როგორ ექცევიან ცოლის მკვლელ პატიმრებს ციხეში, ამართლებენ თუ არა მათ ქმედებას და ზოგადად, როგორ მიდიან იქამდე ყოფილი პატიმრები, რომ გათავისუფლების შემდეგ ცოლებსა და საკუთარი შვილების დედებს ხოცავენ. ისტორიებს, რომლებსაც ქვემოთ მოგიხსნათ, სარწმუნოდ რეალური ამბები უდევს და ეს ისტორიები არცთუ შორეულ წარსულში, საქართველოში მოხდა. ჩვენ დავუკავშირდით სასჯელალსრულებით დანაშაულებში მომუშავე ფსიქოლოგსაც, რომელიც შეეცადა, ერთგვარად დაეხატა იმ პატიმრის სურათი, რომელიც ჯერ კიდევ სასჯელის მოხდის პერიოდში იმუქრება, რომ გათავისუფლების შემდეგ ცოლს მოკლავს.

პატიმარი №0578 2011 წლის 24 ივნისს, ლაშა ბრეგვაძის მითითებით, რუსთავის №17 დანაშაულებების კარცერში ჩასვეს. მიზეზი არავის აუხსნია, ოფიცერმა ირაკლი ონიანმა მხოლოდ ის ჩაილოდებოდა, რასაც მიზრძანებენ, იმას ვაკეთებთ. კარცერში №0578 ცნობილ კრიმინალურ ავტორიტეტთან, კახეთის რეგიონის მაცურებელთან, ალექსანდრე რ-სთან მოხვდა. ერთად თითქმის კვირა გაატარეს და ყველაფერზე ისაუბრეს. საუბარი იყო იმაზეც, რომ კაიბიჭს, რომელსაც ქურდობა უნდა, ცოლი არ უნდა ჰყავდეს.

„შენ ხომ გყავს ცოლი და თან ქურდობა გინდა?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„ჰო, მყავს, მაგრამ ხელი არ მაქვს მონერლი. ზოგადად, თუ კაიბიჭობაზე გაქვს პრეტენზია, თუ მომავალში სახელზე ფიქრობ, ცოლი არ გჭირდება. უნდა გყავდეს ე.წ. მურკა, ქალი, რომელსაც ნებისმიერ დროს განირაგ, ცოლს, შვილის დედას კი ამას ვერ გაუკეთებ. როცა „რამის“ მიდის, როცა კაიბიჭები ბაზრობენ, ალბათ, გაგიგია, რომ დედასაც იგინებინ. ასეა, როცა ქურდული ცხოვრებით ცხოვრობ, ოჯახი აღარ გყავს, დედა, მამა... არავინ, მით უმეტეს, ცოლი. შენი ოჯახი ქურდული სამყაროა და მანდ მთავრდება ყველაფერი“ — აუხსნა რეგიონის მაცურებელმა.

გუჯა მ. ახალციხიდან იყო. სასჯელალსრულების დანაშაულებში ცოლის მკვლელობის გამო მოხვდა. ცოლს მამინდადგა თავზე, როცა მისსავე სახლში საყვარელთან ნებივრობდა. ნაგანი ამოიღო და ლოგინზე დაცალა. სამი ტყვია ცოლს მოხვდა, სამი საყვარელს, მაგრამ ეს უკანასკნელი გადარჩა... ალექო მ. ასევე ცოლის მკვლელობისთვის იხდოდა სასჯელს, თუმცა, გუჯასგან განსხვავებით, ის ე.წ. საქათმეში იჯდა და „ქათმის“ განმასხვავებელი ლენტის ეკეთა.

„ვერ ვხვდები, რამეცაა ის როგორ აკეთებთ? გუჯამ ცოლი მოკლა და პატივში გყავთ, ალექომაც ცოლი მოკლა და საქათმეშია. ვინ წყვეტს, მკვლელობა გამართლებულია თუ არა?!“ — პატიმარი №0578 მაცურებლების კამერაში იჯდა და ზონის მაცურებელს, ვაჟა შ-ს ესაუბრებოდა.

„რად გინდა შენ ეს ჩვენი ქურდული ფილოსოფია?! წიგნის დანერგა ხომ არ აპირებ?!“ — გაეცინა ვაჟას და მიაყოლა, — ნურავის განსჯი, ვილაც ცოლს კლავს, ვილაც საყვარელს, ვილაც სამომავლოდ აპირებს ამის გაკეთებას“...

ვაჟას სიტყვების შემდეგ იქვე მყოფ შაკოს სახე აელენა, უხმოდ წამოდგა და გავიდა. „რა მოხდა?!“ — იკითხა №0578-მა. „რა მოხდა და, შაკო ცოლის მოკვლას აპირებს და იცი, რატომ?!“ — იმ ნაბოზარმა უთხრა, ამა და ამ დღეს, ამა და ამ დროს დამირეკო. ესეც ავარდა და დარეკა. ცოლმა თავის სექსი ასმენინა, ჰოდა, ესეც მოკვლას აპირებს. ვეუბნები, ბოზის გამო ციხეში შემობრუნება არ ღირს-თქო, მაგრამ არ მიჯერებს. ექვსი თვე და სამი დღე დარჩა „სვაბოდამდე“ და იცი, საიდან ვიცი? ყოველ დღით აცხადებს, ჩემი ცოლის გარდაცვალებამდე ამდენი და ამდენი დარჩაო“.

„მართლა რომ მოკლას და ისევე აქ მოხვდეს, ჩვეულებრივ საკანში იქნება თუ საქათმეში?!“ „არა, რატომ საქათმეში?!“ „მამინ გამაგებინე, ალექო რატომ არის საქათმეში?!“ „მარტო ალექო? ის აზერი ქათამი რომ არის, ეგეც ცოლის მკვლელობაზე და ის დებილი ანტონაც, თუმცა მე რას მაცოლებ, ახლავ აქ მოვიყვან და მოვიყვებინ“ — თქვა ვაჟამ და იქვე მდგომ სხვა პატიმრებს გასძახა, საქათმეში წადით და მარტო ალექო მოიყვანეთ, სამივეს კრიახის თავი არ მაქვსო. ათ წუთში ხელზე ლენტსმეზული ალექო მაცურებლების

„ნებისმიერი მკვლელობა, თუ გაუმართლებელია, საქათმის პასუხი ხარ!“ — პატიმრის სვანდადური დღიური



კამერაში თავდახრილი იდგა. „აბა, მოყევი, როგორ მოკალი ცოლი და რატომ ხარ საქათმეში?! პატივცემულს ანტერესებს“ — უთხრა მაცურებელმა. ალექომ შიშით მიმოიხედა და ჩუმად თქვა, მერამდენედ უნდა მომეყოლოთო და თავში წყლით სავსე ბოთლი მოხვდა.

„მერამდენედაც გეტყვი! არ დამინყო აქ წესების დადგენა“ — გაცოფდა მაცურებელი და ალექომაც დაინყო. „ჩემი ცოლი მოვიტაცე, 14 წლის იყო (შენი პედოფილი დედაც, — ჩაურთო მაცურებელმა). ორი წელი ვიცხოვრეთ ერთად. ერთ დღეს სახლში მთვრალი მივედი, რაღაც არ მომეწონა და ცოლს შემის ნაჭერი ჩავარტყი თავში. იქვე უსულოდ დავცა. ჯერ შემეშინდა, მაგრამ მერე სასმელი დავამატე და... გავეუპატიურე. მერე დამიჭირეს, 15 წელი მომცეს და აქ რომ მოვხვდი, ყველაფერი მომეყოლეს და საქათმეში გამიშვეს“.

„პატივცემული, დაგავინცდა გეტყვა, რომ ორჯერ გააუპატიურე, მერე დაჩეხვა სცადე, მაგრამ ძალა არ გეყო მთვრალს და სწორედ მაშინ დაგიჭირეს, ნაჯახით ხელს რომ ჩრიდი და, გლდანის ციხეს მაცურებელი რომ ჰყოლოდა, გლდანშივე საქათმეში გაგისტუმრებდნენ. ახლა ანტონასა და იმ აზერბაიჯანელის ისტორიაც მოყევი და თავისუფალი ხარ“ — ჩაურთო ვაჟამ.

„იმ აზერმა, ჯეიჰონამ, ცოლი იმიტომ მოკლა, რომ საყვარელთან წაასწრო. უფრო სწორედ, ცოლმა წაასწრო და ჯეიჰონას ცოლისძმების შეეშინდა, ეტყვის, მათ დას რომ ვუღალატე, მომკლავებო. ჰოდა, ცოლი ამიტომ მოკლა, მაგრამ მერე იმ საყვარელს შეეშინდა, მეც მომკლავსო და პოლიციაში მივიღა. ანტონამ კიდევ ტოტალიზატორში წააგო ფული, ცოლი ეჩხუბა, მამაშენს ვეტყვიო და ამანაც მოკლა, მეტი არაფერი ვიცი“ — ამოიქსუტუნა ალექომ.

„კარგი, წაეთესლე, — უთხრა მაცურებელმა და №0578-ს მიუბრუნდა, — კიდევ გაინტერესებს რამე?!“

„კი, დათო მ-ს ისტორია მაინტერესებს, მაგან ხომ აქედან გასვლიდან ერთ თვეში მოკლა ცოლი. რატომ?!“ — იკითხა პატიმარმა.

„რატომ და, უფრო ადრე ვერ იპოვა. დავითა რომ დაიჭირეს, ცოლმა ორ თვეში განქორწინება ითხოვა, ეს ჯიუტობა, მაგრამ მაინც დაშორდნენ. იმ ქალმა რუსეთში მოხია, ვილაც ვანიას გაჰყვა ცოლად, ფეშენცხოვრება მოიწყო, ამის ბავშვიც ნათყვანა და იქ ცხოვრობდნენ. ხომ იცი, ამას ბიჭი ჰყავს. ჰოდა, ერთ-ერთ წვეულზე დათვრა ეს მამინაცვლი და ის ბიჭი გააუპატიურა. ქალმა გაიგო, მაგრამ გაუფო ფულიან ქმარს. ეს რომ სვაბოდაზე გავიდა, დაადგა ის გოგო, ხილიანზე ბინა გადმომიფორმეო. ამანაც „მაკაროვის“ ტყვია გადაუფორმა შუბლში. ახლა ამის შვილს ბებია ზრდის, ეს კიდევ სროკზეა...“

„ანუ მთავარია მკვლელობის მიზეზი და არა ის, ცოლს კლავ თუ შვილს, ხო?!“

„ძირითადად, ეგერა, რა. ნებისმიერი მკვლელობა, თუ გაუმართლებელია, საქათმის პასუხი ხარ. მეც მკვლელობაზე ვზივარ, მაგრამ მთელმა თბილისმა იცის, ვინ და რატომ მოვკალი და ახსნილი მაქვს...“

„ჰო, მაგრამ ახსნა ზემოთაც მოგიწევს, ღმერთთან, იქაც ახსნი?!“

„ეჰ, ძმაო, აქ შენ ღმერთის ხელს თუ გრძობ სადმე, სალოლ შენ...“

„იცი, პაპას მინდა დაველაპარაკო, ეგეც ცოლის მკვლელობაზეა და თან მამინ მოკლა, როცა ცოლი 72 წლის იყო. ეჭვიანობა გამორიცხულია, რაღაც მოხდა, თან ამას, მთლიანობაში, 30 წელზე მეტი აქვს მოხეული ზონაზე და უმიზეზოდ არ იზამდა“.

„დაელაპარაკე, მაგრამ მეეჭვება, რამე გითხრას. მაგის სოფლებებისგან ვიცი, რომ იარაღით მოკლა, ერთი გასროლით და მერე ჩაბარდა. რავაზა გერცი ხომ იცი, რეპერი. ეგ ლექსებს წერს, წინა დღეს ჩამომიტანა და ერთი სტროფი დამამახსოვრდა - „ჩემი ფიქრები მახვილი, ბასრი, შენს სიყვარულში მინდა გავლესო, პატიმრის სახელს ლაფში ნუ გასვრი, მხოლოდ ამას გთხოვ, უსაყვარლესო“.

პაპასთან საუბარი №0578-ს აშკარად არ აენყო. მოხუცი ჯერ უარობდა, მერე კი...

„მომატყუა და იმიტომ ვესროლე. მთვრალი მივედი სახლში და მითხრა, ხომ გაგაფრთხილე, აღარ დალიო. შეეყვივით, მერე კი გამომიცხადა, ახლაგაზრდობაში რომ იჯები, გლალატობდით და ჩემი საუკეთესო მეგობარი დასახელა. მკვდარია ახლა ის და არ ვიცი, სიმართლე მითხრა თუ არა, მაგრამ იარაღი ამოვიღე და ვესროლე. ფხიზელი რომ ვყოფილიყავი, მაინც ვესროდი, პატიმრისთვის იმაზე დიდი შეურაცხყო-

ფა, რომ ცოლი ლალატობს, არ არსებობს. წარმოიდგინე, ცხრაკლიტულში ხარ, გარეთ გასვლას ვერ ახერხებ და ამ დროს ცოლი გლალატობს, კიდიხარ, რა... გარეთ ლალატი სხვაა, ციხეში — სხვა, დამიჯერე, ასეა. აქედან გაბოროტებული გადიხარ და გინდა, იმ თითოეული წამისთვის სამაგიერო გადაუხადო და ამიტომაც ხშირად ქალები ყოფილი პატიმრის ხელით კვებიან. აქ ხომ იმ იმედით ხარ, რომ გახვალ, ყველაფერს ახლიდან დაიწყებ, ოჯახს მიხედავ... და რომელ ოჯახს? ვილაცამ რომ წაგართვა?! ისიც მოსაკლავია, თუ კაცი ხარ, დაელოდე ქმარს და მერე წაართვი, თუ ერთი ადგილი გაქვს, მაგრამ ქვეცნობიერად ყოფილი პატიმრის ყველას ეშინია“ — ამოღერდა პაპამ.

ცოლზე შურისძიებით გოგა ჯ-ც იმუქრებოდა. ორი თვის მოყვანილი ჰყავდა, როცა დაიჭირეს და 12 წელი მისცეს. ერთი წლის შემდეგ, საპატიმროში სიმამრი შევიდა (სიმამრი თავდაცვის სამინისტროს მალაჩინოსანი გახლდათ) და მაგიდაზე შეწყალების ფურცელი დაუდო: ან ხელს ანერ ამ საბუთს და გარეთ ერთად გავდივართ, ან ერთ კვირაში განქორწინების საბუთები მოგივა, არ ვაპირებ ჩემი დედისერთა გოგო 12 წელი ციხის კარზე ვატარო. გოგას ქურდობა უნდოდა და შეწყალებით გასვლაზე უარი თქვა, რის შემდეგაც განქორწინება მოუხდა.

„გათხოვილა ჩემი ცოლყოფილი, ბედნიერია, თურმე. რომ გავალ, უნდა ვნახო და მოვიკითხო ის და მაგის ქმარიც. ვისი ცოლი მიგყავს, არ უნდა იკითხო?! ორივე თუ არ დავსაჯო, ნახავთ თქვენ“ — იმუქრებოდა გოგა.

„და შენი შვილი წარმოიდგინე მაგის ადგილზე. დედისერთა გოგოს 12 წელი ციხის კარზე უნდა ევლო და შენ რა მატორზე გახვიდოდი აქედან, კაცმა არ იცის. რომ გასულიყავი და გეტყვა, აღარ მინდისხარო, რა უნდა ექნა?!“ — შეეკამათა ერთი გოგას.

„ჩემი თავმოყვარეობა მაქვს და ნახავთ, ლეგენდად გაიგებთ, მაგათ ამბავს დავმართებ“ — ისევე თქვა გოგამ, თუმცა გასვლიდან სამ დღეში მას საქართველოს დატოვება მოსთხოვეს და ყოფილი ცოლის ნახვა ვერ მოასწრო. მისი ძმა ამბობს, ტელეფონზე დაურეკა და როცა გოგომ უთხრა, მეცხრე თვეში ვარ, შვილს ველოდებით, მერე გადაიფიქრა ნახვა, თორემ აპირებდაო. ცნობისთვის, აგვისტოში გოგა ჯ. ევროპაში კანონიერ ქურდად მონათლეს.

ფსიქოლოგი, რომელიც პატიმრებთან მუშაობს: „არაიან პატიმრები, რომლებიც სიმწრით ტირიან იმის გამო, რომ ცოლი ლალატობს. ვცდილობ, დავამშვიდო, მაგრამ ძირითადად არ გამომდის. ისე, ვინც ტირის, სამიში არ არის, ის გარეთ უშვებს დაგროვილ ბოლმას. ვინც ჩუმად არის, ის უფრო სამიშია. ჩემს ხელში გავალი პატიმრებიდან რამდენმაც დაიმუქრა, ცოლს მოვკლავო, ერთმაც არ შეასრულა, ხოლო ვისაც არაფერი უთქვამს და ერთი ვიზიტიც არ ჰქონია ჩემთან, ზოგმა ცოლი მოკლა, ზოგმა ცოლის საყვარელი. შენც ხომ გახსოვს ის ფაქტი, გრძელვადიანი პაემნების ოთახი რომ გაიხსნა, ერთ-ერთი პატიმრის ცოლი მოვიდა და ოთახში კი არ შევიდა, ქმარს უთხრა, იმისთვის მოვედი, ის რომ იგრძნო, რასაც ახლა იგრძნობო და განუცხადა, შენთან არ შემოვალ, აქედან გავალ ახლა, პირველ შემხვედრ მანქანაში ჩავჯდები და სექსი მექნებაო. იმ პატიმარმა ცოლსაც სახე დაუხერა მერე, სიდედრსაც, სიმამრსაც და ცოლისძმაც დაჭრა. ახლა ისევე დაჭერილია. ნურავინ იტყვის, რომ დამნაშავეები მხოლოდ პატიმრები არიან, მინიმუმ 50 პროცენტი ქალია დამნაშავე, ავიყვებს პატიმარს და არ ფიქრობს, რომ ადრე თუ გვიან, ციხიდან ყველა გადის.“

რადიკალურად განსხვავებულია ვითარება აზერბაიჯანელებთან. მათთან ქალის უფლებები, უბრალოდ, არ არსებობს. საკმარისია, ქალზე ეჭვი გაგიჩნდეს, რომ გლალატობს და კლავ. სოფელი კი გიცავს. ეს უბიძგებს, დანაშაულის მარტივად ჩაიდინონ, უფრო მეტიც, სოფელი არაფერს იცავს დამნაშავეს, არამედ კვალის დაფარვაშიც ეხმარება ქალებმა უნდა იცოდნენ, რომ პატიმრები უზარმაზარ ფსიქოლოგიურ წნეხს განიცდიან, გარეთ გასვლის შემდეგ კი რამდენიმე თვე იმ კანონებით ცხოვრობენ, როგორც შიგნით, ციხეში, აქ კი ლალატი ისჯება...“

P.S. ციხიდან გასულმა პაპომ ცოლს სახეში მყავა შეასხა და ცხოვრება დაუმახინჯა. ამისთვის მას ექვსი წელი ციხე მისცეს, თუმცა მხოლოდ იმას ნანობს, მყავა მკერდზეც უნდა გადაემსხა, მისი დანახვა ბოლომდე რომ შეზიზღებოდა ყველასო.

„რეაქციული ფსიქოზი გვაქვს!“

რუსუდან შელია
557-100-768

ნების განმავლობაში, როცა კოლეგები ხელისუფლებასთან შესაძლოა, ღია დაპირისპირებას გაუბრუნდნენ, ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ იბრძოდა და ქვეყანაში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ თუ სოციალურ ვითარებას აპროტესტებდა. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისა და დეპუტატის მანდატის მიღების შემდეგ კი, პასიური პოლიტიკოსების სიაში აღმოჩნდა. მართალია, თავს კვლავ აქტიურ პოლიტიკოსად თვლის, მაგრამ ფაქტია, ბოლო ორი წელია, არც ხელოვანთა აქციებზე გამოჩენილა და არც — იმ ადამიანების გვერდით, რომლებიც დღესაც შიმშილს, უმუშევრობასა თუ უსამართლობას ებრძვიან. რატომ გაქრა აქტიური პოლიტიკიდან ზაზა პაპუაშვილი? — მთაწმინდის მაჟორიტარ დეპუტატთან ინტერვიუ ამ კითხვით დავიწყებ.

რატომ აღარ აქციურობს და ვის ვერ იგანს გაპოლიტიკოებული მსახიობი — ზაზა პაპუაშვილის პოდიტიკაგნობი

— ტაქტიკა იმ გაგებით შევცვალე, რომ ენერჯის ფუჭად ხარჯვა აღარ მინდა. მირჩევნია, ენერჯია ძლიერი იდეისკენ მივმართო, თან მეტი გავიგე, ვისწავლე, წავიკითხე, ადამიანებშიც უკეთ გავერკვიე. კარგად ვხვდები, ვის რა მიზანი ალაპარაკებს და რა მოტივაცია აქვს. ასე რომ, მინდა, ჩემს სიტყვასა თუ საზოგადოებაში გამოჩენას მეტი ფასი დაედოს. როგორც მსახიობი, ასე ვფიქრობდი და ახლაც იგივე აზრზე ვარ — ვცდილობ, საკუთარი თავი ნაკლებად გავცვიტო.

— ეს როგორ გავიგო? — მოსახლეობის პრობლემებზე აქტიურად საუბარი თავის გაცვეთად მიგაჩნია?

— მეც საზოგადოების წევრი ვარ და ხშირად მოსახლეობის კრიტიკულ დამოკიდებულებასაც ვიზიარებ, რაც არასოდეს დამიმაღლავს, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ სამი უზარმაზარი საქმე გააკეთა: ამნისტია, ჯანდაცვის რეფორმა და თავისუფლება! გული მწყდება, უამრავი პოზიტიური განწყვეტილების საზოგადოებამდე მიტანა რომ ვერ ხერხდება.

— გაკეთებული საქმეების ნაცვლად, ხელისუფლება გაუთავებლად ნაციონალური მოძრაობის შეთქმულებაზე საუბრობს. ეს ტაქტიკა გამართლებულია?

— მემკვიდრეობაზე მეც უნდა ვთქვა: რთულია, როცა წინამორბედის ნაგავი თავზე გვეყრება. ორ წელიწადში კი ქვეყანა არ შენდებდა. მთავარი პრობლემა ისაა, რომ საზოგადოება არ გვეყავს, დაჩეხილია. ავადმყოფური ვითარება შეიქმნა და ეს ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ პოლიტიკურ თოქ-შოუშიც კარგად გამოჩნდა. ფასეულობები არ გავაჩნია, არც ღრმა ცოდნა გვაქვს და არც მომავლის ჭკრეტა შეგვიძლია. აკვიატებული აზრები გვანუხებს და რეაქტიული ფსიქოზი გვაქვს. ვეროპას გავიძახებ, მაგრამ მასთან არც გონებრივი კავშირი გვაქვს, არც ემოციური. როცა საზოგადოება ფასეულობებით ცხოვრობს, მის შეურაცხყოფას ვერ გაუბედავ, მაშინვე რეაქცია ექნება. საქართველოში კი, ყველა დაქსაქსულია, თვითგანვითარების უნარი აღარ აქვს, სულ ვილაცას ელის. პლაკატური და ლოზუნგური აზროვნება კი, საშინელებაა. მდარე დონეა ქვეყანაში.

— თოქ-შოუში, რომელიც ახსენეთ, სწორედ ის „ელიტა“ საუბრობდა, რომელთან ერთადაც ხელისუფლებაში მოხვედით!



— თუ ეს ელიტაა, გამოდის, მე ხელოვნებასთან კავშირი საერთოდ არ მქონია. კონკრეტულად არავის დავასახელებ, ჩემს სიტყვებში თავი თავად ამოიცნონ... ზოგადად, უნიჭოების დამახასიათებელი ნიშანია — მუდმივად წუნწუნი, ქარიშხლის გამონწვევის მცდელობა, თემების მიკიბ-მოკიბვა, ვილაცის-თვის თავის დამადლება...

ასეთ პიროვნებებს ვერ ვიტან. არავისთვის არაფერი დამიმაღლებია და ნურც ნურავინ გაბედავს, რამე დამამადლოს! სახელმწიფო ხელოვნებას განვითარებაში უნდა დაეხმაროს, რადგან ეს სფერო სულს ღაფავს, მაგრამ ასეთი კიკიმორების დაფინანსება დაუშვებელია.

— რატომ ვერ გახდით პარლამენტში ხელოვნების ინტერესების დამცველი?

— ისინი სად არიან? სად არიან ეს ხელოვნები ან რა დიალოგი ჩემსა და ხელოვნების შორის? ეს კითხვა მე არ უნდა დამისვიათ, რადგან ყველასთან დიალოგისთვის მზად ვარ. უბრალოდ, გვერდზე მდგომს ვერავის ვხედავ. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ენერჯია სწორადაა გამოყენებული. საკმარისზე მეტი გავაკრიტიკე, მაგრამ ხელოვნები იმდენად ღრმა ძილში არიან, რომ არაფერი ესმით. არც ამბობი, არც ენერჯია... გაყურსულები და თავზე ნაცარნაყრილები სხედან. სურვილიც არ აქვთ, მოვიდნენ, შეგანუხონ, იდეების განხორციელებაში დახმარება გათხოვონ.

— რატომ არ მიხვედით კულტურის სამინისტროსთან, როცა იქ რეჟისორები აქციებს მართავდნენ, რატომ არ ამოიღეთ ხმა, როცა მსახიობები პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაზე საუბრობდნენ ან, როცა ოპერისა და ბალეტის თეატრმა, თანამშრომლების პროტესტის გამო, ხელის ვერ გახსნა?

— კულტურის სამინისტროსთან კავშირი არ მაქვს და საერთოდ, ვერ ვხვდები ამ უწყების ფუნქციას. სამინისტროს წინა ხელმძღვანელობა აბსოლუტური კატასტროფა იყო, მაგრამ ახლაც არ ვიცი, რა ხდება. ჩვენ შორის კონტაქტი, დიალოგი, საკითხების ერთად განხილვა არ არსებობს.

— ანუ პოლიტიკურად იმიტომ პასიურობთ, რომ გუნდიდან გარიყული ხართ?

— არ ვარ პოლიტიკურად პასიური, პირიქით, აქტიური ადამიანი ვარ. უბრალოდ, ჩემი ენერჯია არასწორადაა გამოყენებული. პოლიტიკაში ჩემი მოსკლა ბრძოლის შედეგი იყო. ახლაც მინდა შუამავალი გავხდე, რათა პრობლემების მოგვარების ტემპი დაჩქარდეს. ამას სამშობლოს სიყვარულის გამო ვამბობ და არა — კარიერული წინსვლისთვის. შესაძლოა, ვილაცას ამ სიტყვებზე ვეცინება, მაგრამ მე სწორედ ასეთებზე მეცინება...

— პროფესიულ თეატრებზე თქვენი საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტმა დაიწუნა და კოლეგები პარლამენტშიც დაგიპირისპირდნენ და თეატრშიც. ასეთ ადამიანებზეც გეცინება?

— თეატრის შესახებ კანონი შემუშავებულია და მისი ამოქმედების დროც დადგება.

ამ კანონის გამო, კომფორმისტი, უნიჭო ადამიანები აყიფივდნენ და ისტერიკაში ჩაცვივდნენ. ცვლილებები არ უნდათ, რადგან ზოგადად, ხელოვნების სფეროში რეტროგრადიზმი ფესვგამდგარი. უნიჭო სამხატვრო ხელმძღვანელებს თეატრი თავიანთი სახანო და სასულთნო ჰგონიათ. კონკურენტუნარიანი, თავისუფალი გარემო კი არ სჭირდებათ. კონკურენტის ეშინიათ, რადგან იციან, დამარცხდებიან. ურჩევნიათ, ვილაცასთან ჩანყობით დანიშნულები იყვნენ. მე მიყვილია! მომავალ თაობას ვეტყვი, რომ პარლამენტში ყოფნისა ამას ვამბობდი, მაგრამ არ იყო გარემო და არც ადამიანები აღმოჩნდნენ, რომლებსაც ცვლილებების მნიშვნელობა ესმოდათ. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ყველას არ ვგულისხმობ. გააჩნია, პარლამენტში ამ კანონს ვინ რა კუთხით შეხედავს. შესაძლოა, ვილაცამ თავისი პოლიტიკური მომავლისთვის შეუსაბამოდ მიიჩნიოს ან პროგრესულ იდეად ჩათვალოს, ამიტომ შესაძლოა, ჩემი მოსაზრებები ვილაცებთან ცდომილებაში მოვიდეს, მაგრამ გაუშვი, იყოს! ასეთი რამეები არ მაღარდება, მინდა, ჩემი ქვეყანა გადარჩეს, ადამიანებმა საღად აზროვნება დაიწყონ, დემოკრატია და პოპულიზმი კი, ერთხელ და სამუდამოდ, გაქრეს. მეტი ტემპი და მეტი პრინციპული ადამიანი, კვალიფიციური კადრია საჭირო, რომლებიც ქვეყანას გამოადგებიან.

საპარლამენტო ძროხა

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის შეფერხების რეალური მიზეზი

ლევან ღვინიაშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა, შეიძლება ითქვას, თავისი გაიტანა და პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად ნინო ბაქაძური და ზურაბ ძლიერიშვილი დაამტკიცა. არადა, თავიდან პარლამენტმა პრეზიდენტის კანდიდატები ჩააგდო და, როგორც ახლა ირკვევა, საამისო მიზეზიც ჰქონდა — დეპუტატები სწავლობდნენ, ხომ არ ჰქონდა ადგილი ინტერესთა კონფლიქტს ბაქაძურსა და მის მეუღლეს შორის, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილედ მუშაობს. ამ თემაზე შეკითხვები საპარლამენტო უმრავლესობის წევრებსაც გაუჩნდათ. ამ საკითხზე „ვერსიამ“ კომენტარი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს, გიანტაშვილს სთხოვა.



— ბატონო ღვინია, ბაქაძურისა და ძლიერიშვილის კანდიდატურა პარლამენტმა პირველ ეტაპზე ჩააგდო, ახლა კი, თითქმის ასპროცენტიანი მხარდაჭერით დამტკიცა. რატომ?

— იყო გარკვეული კითხვები, რომელზეც პასუხი უნდა გაცემულიყო. ეს გახლდათ პრეზიდენტის დაფინანსებული მოთხოვნა და დამაფიქრებელი იყო, რომ ბაქაძურის მეუღლე ადმინისტრაციაში მაღალ თანამდებობაზე, კონკრეტულად კი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილედ მუშაობს. ამასთან, საინტერესო იყო თავად ქალბატონი ნინოსა და ბატონი ზურას პოზიცია და ხედვები. მოვუსმინეთ და ძალიან დადებითი შთაბეჭდილება დატოვებს, რის შემდეგაც გადაწყვეტილება მივიღეთ.

— „დადებითი შთაბეჭდილებაში“ რა იგულისხმება?

— ბაქაძურს რომ მოუსმინოთ, სასიამოვნოდ გოცდებით — საინტერესო ხედავს აქვს სასამართლოს განვითარებასა და რეფორმებზე. ასევე, საინტერესოდ საუბრობს საკუთარ თავზე. შეიძლება ითქვას, გაცნობითი ხასიათის საუბარი კონსულტაციებში გადაიზარდა.

რაც შეეხება ბატონ ზურაბს, ახალგაზრდა, ძალიან ღირსეული კაცია და საპარლამენტო უმრავლესობამ მხარიც სწორედ ამიტომ დაუჭირა.

საბოლოოდ, ბაქაძურს ხმა 93-მა დეპუტატმა მისცა, ძლიერიშვილს — 99-მა. ისიც საინტერესოა, რომ უმრავლესობის მსგავსად, მიღებულ გადაწყვეტილებას დადებითად აფასებენ ოპოზიციონერი დეპუტატები და აცხადებენ, რომ მოსამართლეებად არჩეული პირები თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან.

„სოცხების რეჟისორი“ სწორედ საპატრიარქოში მოაწყო!

ენიმე კომენტარი
599-95-33-16

ამბობს, რომ 560-ლარიანი პენსიით ცხოვრობს, უთანაგრძობს „თავისუფალ ზონას“ და ნაციონალებს, თავის დროზე, ნაციონალების სიით პარლამენტშიც შევიდა და ბევრ საინტერესო ადგილზეც უმუშავია. ამბობს, რომ ცხოვრებით უფრო გოგონაა, ვიდრე ქალი და ისიც ჭორია, მიხეილ სააკაშვილმა თითქოს სახლი და მანქანა უყიდა. 2012 წლამდე რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოში მუშაობდა და მიაჩნია, რომ პირველი, ვინც სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გამოაგდეს; მოგვიანებით, მერიიდანაც წამოვიდა, რადგან იქაურობა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მალაჩინოსანთა ნათესავეებით გაივსო, რომელთა უმეტესობა პირდაპირ მეტადონის პროგრამიდან მოვიდა და მათთან ერთად მუშაობა შეუძლებელი იყო“. მოკლედ, გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს აქტიურ, სკანდალურ და ეპატაჟურ მამბი ბოცნირძისთან.



ეპატაჟური ნაციონალი მეტი გოგონაა სსუდიერო პირებსა და „ოცნების“ დეპუტატს ქაღალდის სკანდალურ ბრადებებს უყენებს!

— გავიგე, ტერმინი „ქოცები“ თქვენი მოგონილი ყოფილა. ხელისუფლებას „ხიხოსაც“ ეძახით...
— ერთადერთი არა, მაგრამ ერთ-ერთი ნათელი ნამდვილად ვარ... სხვათა შორის, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში „ოცნებას“ სწორედ „ქოცები“ ეწერა — ეს ამ პარტიის აბრევიატურაა. ეტყობა, ივანიშვილმა, როცა პარტიას სახელს არქმევდა, ესეც გათვალა. სიტყვა „ქოცები“ ჩემში ცხვრების, მონების ასოციაციას იწვევს. ვინმეს გალანძღვა რომ მიწოდდეს, შე ქოცო-მოთქი, ვეტყვი.

— ხალხი კი, როცა ვინმეს გალანძღვა უნდა, „შე ნაცოო“, ეუბნება...

— ნაციონალიზმი და „ქოციონალიზმი“ ორი სხვადასხვა მენტიონობაა. ჩვენი ხელისუფლება პრორუსულია, ნაციონალები პროდასავლურები ვართ. მინდა, აფხაზეთში მიმდინარე პროცესებსაც გამოვხატო, რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულების გამო, ძალიან შენუხებული ვარ. ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში ერთ-ერთ რეგიონად შედის. ამის პასუხად საქართველოში რა ხდება: თედო ჯაფარიძე, მათა ფანჯიკიძე და სხვები ხმას არ იღებენ. ზურა აბაშიძე კი, თუ ხმას იღებს, ეს 64 წლის კაცი, 68 წლისას ეუბნება, ბებერი ხარ, მუხრუჭებმა გიმტყუნაო. ეს რა არის? ხელისუფლებაში ყოფნა სახლობანას თამაში ეგონათ და ახლა მთავრობანას თამაშობენ. ამ ხელშეკრულების შესახებ ჯერ კიდევ თუბერვალში იუნჯებოდნენ და ისიც ცნობილი იყო, რომ ამ გადაწყვეტილებას აფხაზეთი მხარს არ უჭერდნენ. მერე აფხაზეთში ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ აფხაზ ხალხს ისევ დამოუკიდებლობა სურს. აფხაზეთისა და რუსეთის შეერთებას მხარს მარტო საქართველოს ხელისუფლება უჭერს! ძალიან ცუდ რამეს ვამბობ, მაგრამ ჩემთვის აფხაზეთი და ოსები ძმები არ არიან.

— აბა, ვინ არიან?

— ქართველები, რომლებიც შევარდნაძემ გაყიდა. აფხაზეთი, შევარდნაძის ხელით, რუსეთმა დაგვაკარგინა და ახლა ამას რატომღაც სააკაშვილს აბრალებენ.

— აფხაზეთი-სამაჩაბლო საქართველოს საბოლოოდ რომ მოწყდეს, ყველა მთავრობა თავის წილს აკეთებს... სააკაშვილს უზომოდ აგრესიული რიტორიკის გამო ედავებიან.

— პუტინი უთვლიდა სააკაშვილს, ერთი ადგილით დაგვიდებო, თორემ, რასაც მიზაზე ამბობენ, ჭორია. ვინმემ მაჩვენოს კადრი, სადაც მიზა პუტინს ლილიპუტინს უწოდებდა. ესეც ისეთივე სიმართლეა, როგორც ის, რომ ვილატებს ძუძუ მოაჭამა.

— არც საათები დაურიგებია საჩუქრად?

— მერე რა, ეგ რა კავშირშია ამ ამბებთან?

— არც მასაჟისტი ქალი ჩამოუყვანია, ომის დროს არც პალატის დაუღწევს და არც გორში ფორთხავდა?

— და, რა მერე?! რას მელაპარაკებთ? ნიკებზე ნუ ვისაუბრებთ. ყველაზე დიდი ნიკიანი და ნევროზიანი ღარიბაშვილია, ყველას თითებს რომ გიქნევთ. როგორ შეიძლება, ეს ორი ხელისუფლება ერთმანეთს შევადაროთ. საქართველოს დე ფაქტო დირექტორმა, ივანიშვილმა საერთოდ ლაპარაკი არ იცის. ვინმემ ერთი თვისება დამისახლოს, რაც ამ კაცში შეიძლება მოგწონდეს.

— ფაქტია, მოსახლეობას მოსწონს და ზედიზედ სამ არჩევნებზე ხმაც მისცა!

— ჩვენი ეკლესია საერო საქმეში პირდაპირ და უხეშად ჩაერია, განსაკუთრებით, მას მერე, რაც ბიძინა ივანიშვილმა პირველი ეპისკოპოსი დაწერა. მანამდეც ერეოდა, მაგრამ ბოლო ორი წელიწადში მიმდინარე მოვლენების მოწმე თავად ვარ. იმაზე, რაც სინოდში ხდებოდა, ინფორმაცია თავად სინოდის წევრებისგან მაქვს. არ იფიქროთ, ხალხი ხმას არჩევნებზე მდიდრებს სიმდიდრის გამო აძლევს და ბიძინამაც ამიტომ გაიმარჯვა. ასე რომ იყოს, თავის დროზე ხმას ბადრი პატარაკაციშვილი და ნინო ბურჯანაძეც მიიღებდნენ, უფულონი არც ისინი იყვნენ, მაგრამ მათ ეკლესია არ ეხმარებოდა. ბიძინას კი ხმა იმიტომ მისცეს, რომ საქმეში ეკლესია ჩაერთო, რომელიც

მრევლს ივანიშვილის მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა. მიზამ რევოლუცია ეკლესიის გარეშე მოახდინა!

— ეკლესიისგან რევოლუციის მოწყობას რატომ მოითხოვთ?

— „ცოცხების რევოლუცია“ სწორედ საპატრიარქოში მოაწყო. დიას, ის ჩაერთო ამ პროცესში — მრევლს ქადაგებაზე ნაციონალების დამხობისკენ მოუწოდებდა.

— პატრიარქის ასეთი განცხადება არ მომისმენია, ერთი და ორი მაგალითი კი მთელ ეკლესიას არ ეხება.

— ერთი და ორი კი არა, ასეთი შემთხვევა მასობრივად ხდება. ამბიონიდან პოლიტიკური განცხადებები კეთდებოდა და ეჭვი მაქვს, ამ ტექსტებს პატრიარქი არ წერდა, ვილატ მატრიარქები რომ ჰყავს, ისინი უწერდნენ. ერთს გეტყვით, ადგილობრივ არჩევნებზე, რომელიც სპეციალურად დაამთხვიეს პეტრე-პავლობის დღესასწაულს, რაიონების ყველა ეკლესიაში მღვდლებმა მრევლს პირდაპირ უქადაგეს, ხმა „ოცნებას“ მიეცითო.

პირადად მაქვს მოსმენილი არაერთი ქადაგება, სადაც მღვდლები მრევლს ეუბნებოდნენ, რუსეთი ჩვენი ხსნაა, რუსეთის შემადგენლობაში უნდა ვიყოთ, აშშ-სა და ევროპაში სატანები არიანო და ამ სატანებთან თავიანთ შვილებს სასწავლებლად უშვებდნენ. ბოლო ორი წელია, რუსთაველის გამზირზე სწორედ ეს მღვდლები აწყობენ გეიალუმს, ნივიან, კვიან, ანგრევენ, არბევენ — მე იქ გვი არ მინახავს! მერე ეს მღვდლები, ზოგი ყაჩაღობაზე ნასამართლევი, ზოგი ნარკომანი, იდგნენ და კურთხევას იძლეოდნენ პეტრე-პავლობა დილას, 41 ნომერი შემოხაზეოთ.

— „თავისუფალი ზონა“ გამახსენდა, რომელზეც ითქვა, გრუს აგენტებთან სავესო, თავად „ზონელბმაც“ განაცხადეს, ჩვენთან სუს-ის აგენტები არიანო და, ქალბატონო მეგი, იქნებ, გამაგებინოთ, ვინ ვისი აგენტია ამ „ზონაში“?

— წარმოდგენა არ მაქვს. საერთოდ, ეს აგენტომანია არანორმალურად მიმაჩნია. ერთი შემთხვევა გითხრათ: ნაციონალები საქართველოს აგენტები არიან. ჩანერგილები კი „ოცნებაში“ მოიკითხონ: ბიძინა ივანიშვილმა ეპისკოპოსი რომ დაწერა, ყველას გიყიდითო, მის კართან ხალხის რიგი დადგა, ჩაგვწერგეთო. მანაც ჩანერგა საყვარლად და ასე მივიღეთ მილიონი ჩანერგილი.

მილიონზე გამახსენდა, წარმანამ დაიჯერა, რომ ქალაქის მერია, მაგრამ არ ახსოვს, რომ აი, „რადარიდან გამქრალ ნაციონალებთან“ წააგო არჩევნები. მას არ აქვს უფლება, 30-მილიონიანი კრედიტი აიღოს კომერციული ბანკიდან და 125 მილიონი სხვადასხვა ჩინოვნიკის ხელფასებზე გადაანაწილოს. უკაცრავად, თუ ეს დასაშვებია, აბა, რას ედავებოდნენ ნაციონალებს? თუ ჩვენ ისეთი მაგარი მანქანები გვყავდა, რომ ამის გამო წლები გვაკრიტიკებდნენ, მაშინ „ოცნებამ“ რატომ იყიდა ახალი მანქანები? სინამდვილეში, ყველაფერი ტყუილია.

— მაგარი მანქანა არ გყავდათ? ამბობდნენ, სააკაშვილმა უყიდა სახლი და მანქანაო. იმასაც ამბობენ, რომ ნაციონალებში ვანო მერაბიშვილის კადრი ხარო.

— ჯერ ერთი, სამთავრობო მანქანა არასოდეს მემსახურებოდა. მიზა და ვანო ჩემი დიდი ხნის მეგობრები არიან, ვანო საიდან მომიყვანდა, უდემი კი არ დავიბაღე და გავიზარდე. უბრალოდ, ჩემი საამაყო მეგობარია, თავის ოჯახთან ერთად. რაც შეეხება სახლს, ისევე იქ ვცხოვრობ, სადაც ადრე ვცხოვრობდი, მყავდა „გოლფი“, მერე „კიას“ ჯიპი ვიყიდე, რომელიც 7 წელია მყავს. სააკაშვილის გამოგზავნილი მილიონებიდან ვიღებ ხელფასს და ვყიდულობ მანქანებს!

— სურათებს ბორბლებთან კიდევ იღებთ და რევოლუციასაც ისევე გეგმავთ?

— დიას, ნამდვილად გეგმავთ ბორბლების რევოლუციას! ნამდვილად იქნება თბილისური მიადინი საქართველოში! რადარზე ხომ არ ვჩანვართ, მაგრამ რევოლუციას მაინც გეგმავთ. თუ რადარის ელემენტები არ იჭერს, კარგად გამოუცვალოს „ჰაკი ფაშამ“ და ბიძინა ივანიშვილის „ბნელიტამ“ ელემენტი და დაიჭერს — ჩვენ ხმა ნახვებრამ მილიონმა ადამიანმა მოგვცა და უუსტად ამიტომ აშინებს „ოცნებას“ შემოდგომის დადგომა.

— ბოლო დროს, ყველაფერში, რაც ცუდი ხდება, თქვენს კვალს ხედავენ...

— თუ ხელისუფლება ხარ და იცი, ნაციონალური მოძრაობა ხალხს იტაცებს, აუთოებს და ა.შ., რატომ ვერაფერს აკეთებ? ეს ხომ უპასუხისმგებლო განცხადებებია — მაჩვენონ, რომელმა ნაციონალმა დააუთოვა ბავშვი, დააყარა ტაქსის მძღოლები და ა.შ.!

დასასრული მე-6 გვერდზე

პერსონალიზი პოლისია მკვლელობა სხელ კვალზე გახსნა



შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული-საგამომძიებო ღონისძიებების შედეგად 1941 წელს დაბადებული იური ჩ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამომძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა გურჯაანის რაიონის სოფელ დარჩეთში, თავის საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკებისას მის მეუღლეს 1946 წელს დაბადებულ ნათელა ჯ-ს ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მიყენა, რის შედეგადაც ქალბატონი ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამომძიებო მოქმედებების შედეგად იური ჩ. გურჯაანში, სოფელ დარჩეთში მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი — დანა ნივთმტკიცებდა ამოიღეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

ქობულეთში ქლიაჩა ქარა ხეხი მოგლიჯა

ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე და ჩოლოქში ძლიერმა ქარმა ხეხი მოგლიჯა. როგორც ქობულეთის გამგებელმა, სულხან ევგენიძემ განაცხადა, რუსთაველის ქუჩაზე ხის მოგლეჯის შედეგად ელექტროგადამცემი ბოძები დაზიანდა. მისივე თქმით, ძლიერი ქარის დროს ჩოლოქში ხე წაიქცა და თურქების ტრაილერს დაეცა. ამასთან, როგორც აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის ცენტრის უფროსი, მამუკა თურმანიძე აცხადებს, აჭარაში 5-ბალიანი შტორმი დაფიქსირდა და ძლიერმა ღელვამ ბათუმის ახალი ბულვარის საფეხმავლო ბლიკებზე მცირე რაოდენობით ნატანი ამოყარა. მამუკა თურმანიძის თქმითვე, ქედაში, სოფელ ზვარესთან მენყერი ჩამოწვა და გზა ჩაკეტა, თუმცა დამენყრილ ტერიტორიაზე განმენდითი სამუშაოები უკვე ჩატარდა.



„ინტერპრესნიუსი“

პრეზიდენტისა და პრემიერის დაპირისპირების მორიგი რაუნდი იწყება?



რას ურჩევს დემურ გიორხეიძე და რა მიზნით შეხვდა გიორგი მარგველაშვილი ეკონომიკის ექსპერტებს

მანია მიშელაძე
593-51-90-12

15 ოქტომბერს გიორგი მარგველაშვილი ეკონომიკის ექსპერტებს შეხვდა. შეხვედრის მთავარი მიზანი ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის კანდიდატურის შერჩევა იყო. კანონით, ქვეყნის მთავარი ბანკის მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კი არა, პრეზიდენტის კანდიდატურასაც საქართველოს პრეზიდენტი არჩევს და პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს. ამჟამად, ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ერთი წევრის ადგილი ვაკანტურია, 2016 წელს კი ბანკის ხელმძღვანელის პოსტიც ვაკანტურად დარჩა. მოკლედ, პრეზიდენტი ამჟამად კარგ ინიციატივას უყრის საფუძველს, მაგრამ მისი და ეკონომიკის ექსპერტების შეხვედრას ფინანსთა ექსპერტთა დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა. დავით იაკობიძემ Facebook-ის საკუთარ გვერდზე იკითხა, რა ნიშნით შეარჩია მარგველაშვილმა ექსპერტები ან რომელი იყო აქედან ექსპერტი. ეკონომიკის მიმომხილველმა, დამპრ ბიორხელიძემ „ვერსიასთან“ ექსკლუზიური ინტერვიუ სწორედ შემოსხნებული შეხვედრის შეფასებით დაიწყო.

— ამ ნეპოტიზმითა და კლანურობით გაჟღერებულ ქვეყანაში, სახელმწიფოს პირველი პირი ინიციატივით გამოდის, იმ უმნიშვნელოვანეს სტრუქტურებში, სადაც კანდიდატები უშუალოდ მან უნდა წარადგინოს, ფართო განხილვის საგნად იქცეს, რაც მნიშვნელოვანია. მეტიც, ამას რეგულაციური ინიციატივას ვუწოდებ, მაგრამ აუცილებელია, პრეზიდენტის ეს ინიციატივა სწორად გამოვიყენოთ. გამორიცხული არაა, იმ ადამიანებმა, რომლებსაც ხელი მიუწვდება პრეზიდენტთან შეხვედრაზე, თუნდაც ექსპერტთა ჯგუფებმა, ეს მართლაც კარგი იდეა საკუთარი კლანური ინტერესებისთვის გამოიყენონ. ამ შეხვედრაზე არ მომენონა, რომ გარკვეულმა ჯგუფმა კანდიდატის შესარჩევად, გარკვეული კრიტერიუმების დადგენა მოითხოვა. როდესაც სახელმწიფოში მაღალი პასუხისმგებლობის მქონე თანამდებობაზეა საუბარი, კრიტერიუმი უნდა იყოს პროფესიონალიზმი, ნე-სიერება და სახელმწიფოებრივი ხედვა. შესაბამისად, სპეციალური დიპლომებით ან ამა თუ იმ სტრუქტურაში მუშაობის გამოცდილებით სპეკულირება არასწორი მგონია. ვფიქრობ, გაცილებით მასშტაბური ხედვებია საჭირო, რადგან სახელმწიფო საქმისთვის, ვინც ტექნიკური ფუნქციების გარდა, პროფესიონალიზმით გაჯერებული პოლიტიკური ხედვებით არსებობს, რაც საუკეთესო კრიტერიუმი და მიზანია, რომ სხვა კრიტერიუმების ძეგნით გარკვეული ჯგუფები ამა თუ იმ კანდიდატურისთვის გზის გადაკეტვას შეეცდებიან. პრეზიდენტს ასეთი რამ არ უნდა აკადრო, რადგან ამ საზიზღარ ვითარებაში ისეთი უქსობით მოგვმართა, რასაც დაფასება სჭირდება. თუ ამ ინიციატივას ქართულად ჩავაფლავებთ, მაშინ პრეზიდენტს მოკრძალებულად ვურჩევ, საზოგადოება ჯერ მზად არ არის და საკუთარი მრჩევლების ვინცო წრეში შეარჩიოს კანდიდატურა. თუ კლანურობამ და ჯგუფურობამ იმარჯვა, ეს პრეზიდენტის ავტორიტეტს დააზიანებს, მე კი არ მინდა, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის ავტორიტეტი, მისი ძალიან კარგი იდეის გამო დაზიანდეს.

— ბატონო დემურ, შეხვედრაში რომელი ექსპერტები მონაწილეობდით?

— შეხვედრას ვესწრებოდი მე, რომან გოცირიძე, სოსო ცისკარიშვილი, ემზარ ჯგერენია, ლევან კალანაძე, ლევან ალაფიშვილი, ირაკლი ლექვიანიძე, თეოდორ თვალჭრელიძე, რამაზ გერლიანი, ახალგაზრდა ფინანსისტა და ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

— შეხვედრიდან მერე დღეს, დავით იაკობიძემ Facebook-ის საკუთარ გვერდზე დაწერა, იქიდან, ვინც პრეზიდენტმა მიიწვია, ეკონომიკის ექსპერტი რომელი იყო. როგორ დავიჯერო, დავით იაკობიძე არ გიცნობთ...

— როგორ არ გიცნობს, მაგრამ მისიც კარგად მესმის, რადგან ექსპერტი, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, საქართველოში სულ რამდენიმეა, თუმცა იმის თქმა, რომ ემზარ

ჯგერენია, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სრული პროფესორია, ეკონომიკა არ იცის, დიდი სისულელეა; ასევე სისულელე მგონია, ვინმემ თქვა, რომან გოცირიძემ ეროვნული ბანკის საქმიანობა არ იცისო. ჩემს თავზე აღარაფერს ვამბობ, რაც გინდათ, ის თქვით...

— წლების წინ, კონტროლის პალატაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდით და ფინანსურ აუდიტს ახორციელებდით.

— ჰო, მაგრამ აქ საუბარი ტექნიკური საკითხის შეფასებაზე არაა, რაც შეიძლება, ექსპერტს დაეკითხო, არამედ პრეზიდენტმა პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

— პრეზიდენტსა და პრემიერს შორის ბოლო დაპირისპირება ეკონომიკურ თემას ეხებოდა და მარგველაშვილმა, ვითარების გამწვავების თვითდასაცემად, დავოსში წასვლა გადაიფიქრა. მთავრობის ეკონომიკური გუნდი ღარიბაშვილს ექვემდებარება, ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი კი პარლამენტს მარგველაშვილმა უნდა წარუდგინოს. ამის გამო, როგორ გგონიათ, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ურთიერთობა ისევ ხომ არ გამწვავდება?

— ეს დაპირისპირება საშინლად არ მომწონს, რადგან სახელმწიფოს ინტერესებს არ შეესაბამება. საქართველოს კონსტიტუციით აღფრთოვანებული არ ვარ — ძალიან ცუდია, მაგრამ ამ კონსტიტუციის ფარგლებშიც კი, თუ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ ვხედავ საბაბს, რატომ უნდა იყვნენ გაუგებარ ურთიერთობაში პრეზიდენტი და პრემიერი. რაც შეეხება დავოსს, მართალია, ამ ეკონომიკურ ფორუმზე სტუმრებს ინვევენ, მაგრამ ყველას, ვინც ფულს

გადაიხდის, შეუძლია, თავის სურვილითაც დაესწროს. საქართველოს წარდგენის თვალსაზრისით, გაცილებით ეფექტური იქნებოდა, ფორუმს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ერთად დასწრებოდნენ, ტანდემში ემუშავათ და რაც შეიძლება მეტი ინვესტორი მოეწვიათ. დავოსი ცოტა უცნაური ფორუმაა, სადაც პოლიტიკოსები და საქმიანი ადამიანები ერთ პლატფორმაზე ხვდებიან და შესანიშნავი იქნებოდა მათი ერთად წასვლა, მაგრამ ინილო-ბინილო დაინწყო და კიდევ კარგი, მაღევე შეწყდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი საქმიანი ადამიანი, რომელიც გაიგებდა, რომ პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი ისეთ საკითხებზე კამათობენ, რაც არ შეიძლება, დავის საგანი იყოს, ამ ქვეყანაში ინვესტიციების ჩადება აღარ მოუხდებოდა.

კანდიდატურის წარდგენის გამო, პრეზიდენტსა და პრემიერს შორის ვითარების გამწვავების საშიშროება მეც შევნიშნე, თუმცა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მზადაა, არა მხოლოდ ეროვნულ ბანკში, არამედ, ცესკო-სა და ნებისმიერ სხვა სტრუქტურაში წარსადგენი კანდიდატების შესახებ გადამწყვეტილება საზოგადოებასთან მსჯელობის შემდეგ მიიღოს.

— პრეზიდენტთან შეხვედრაზე ეროვნული ბანკის მუშაობა რატომ გააკრიტიკეთ, რა არ მოგწონს?

— ბოლო 10 წელია, ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები არიან თავმოყრილი. ყველამ კარგად იცის, რომ იქ, ძირითადად, ზურაბ ადგიშვილის კადრები მუშაობდნენ, რის გამოც ეროვნული ბანკი არამოქმედ ორგანოდ იქცა. წარმოდგინეთ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი არიან და გამოდის, ისინი თავს აკონტროლებენ. ის პოლიტიკა, რომელსაც ეროვნული ბანკი ატარებს, საქართველოს ეკონომიკას აბსოლუტურად არ შეესაბამება. ფულადსაკრედიტო პოლიტიკა, რომელიც მაკროეკონომიკის შემადგენელი ნაწილია, კოორდინაციაში უნდა იყოს საერთო ეკონომიკურ და საფინანსო პოლიტიკასთან. ფულადსაკრედიტო პოლიტიკას ინტერესთა ჯგუფი სათავისოდ იყენებს და ეროვნული ვალუტის გაუგებარი თამაშები იმის საშუალებით სიმპტომია, რომ ეს ჯგუფები შეგნებულად მოქმედებენ. მხოლოდ ეროვნული ვალუტის კურსის თამაშს კი არა, იმპორტზე ზემოქმედების მექანიზმსაც ვგულისხმობ, რაც ასევე დიდი ფულის კეთების საშუალებაა და ადგილობრივი წარმოების განვითარებას აფერხებს.

ლოპოზიცია

„სოსხების რეპოლუსია“ სწორედ საპარტიო მოხსოვ!

მე-5 გვერდიდან

სხედან ახლა ნაციონალების აშენებულ სისტემაში და იქიდან აფრქვევენ სისულელეებს, ძველი სისტემები უნდა დაინგრესო. არც ერთ სამინისტროს კომპიუტერი და მონაცემთა ბაზა არ ჰქონდა. 2003 წელს, როცა საპენსიო ფონდის დირექტორი ვიყავი, საანგარიშო „ჩოტი“ და კალკულატორი მდლო მაგიდაზე. აი, აქედან ამოვიდა ეს ქვეყანა. „ოცნება“ კი ახლა ზის აშენებულ საქართველოში და გაიძახის, ეს ქვეყანა ნაციონალებმა დაანგრესო. ამის გამო ხომ უნდა დახოცო ახლა ესენი!

— „თავისუფალი ზონის“ ოფისთან გამართულ აქციებზე ხალხი ისეთი დაპირისპირებული ჩანდა, ხოცვა-ჟლეტას აღარაფერი აკლდა. ასე აპირებთ გაგრძელებას?

— მოდიან და დაგვიჩივიან, გადადექო, ჩვენც, უბრალოდ, პასუხს ვუბრუნებთ. 9 წლის განმავლობაში ვინც ყვიროდა, გადადექო, ახლაც ისინი მოდიან და იგივეს ყვირიან. ჰოდა, უკვე ორი წელია, გადადექით, „ფიიიფოოოო!“ ალბათ, ეს იმიტომ ვერ გაიაზრეს, რომ პოლიტიკურ ამინდს ისევ ნაციონალები ქნნიან — პოლიტიკურ დღის ნესრიგს ხელისუფლებას ვთავაზობთ ჩვენ, „რადარიდან გამქრალნი!“ რა თქმა უნდა „ნაციბის“ უნდა უშინოდეთ კიდევ. „ოცნებას“ სამოქალაქო დაპირისპირების მცდელობა აქვს, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა ამ პროეოკაციას არ წამოეგება. ჩვენ არავის მივცევნილვართ და ჩხუბი არ დაგვიწყია. ამ „თავისუფალ ზონაში“ კი სულ 30 კაცია და შენ თუ სახელმწიფო ხარ, სირცხვილით როგორ უნდა თქვა, 5-მილიონიან ქვეყანას 30 ბიჭი რეგულაციას მიგეგმავსო?

ჩემი დიავოზი ისაა, რომ ეს საქართველოს ფსიქიატრიული რესპუბლიკაა და ერთი ავლიპი გვჭირდება!

— ვიცი, მოქმედ ხელისუფლებაში მეგობრები გყავთ...
— ვკარგავ მეგობრებს პოლიტიკური შეხედულებების გამო.

პარლამენტში არის ქალი, რომლის ძმა იყო ნარკომანი, ბრაკონიერი არაერთგზის წასამართლები და ცინიდან საპროცესო გარიგებით გამოყვანილი. ამ ქალმა თავისი ძმა პოლიტპატიმართა სიაში ჩაწერა. არადა, პირადად ვარ მოწმე, როგორ ეხვეწებოდნენ,

ფული მოიტანე და ისევ გამოვუშვებთ საპროცესოთი. იცით, ამ ქალმა რა თქვა? — ეგდოს იქ, ცოტა ხანს დავისვენებო. ნანა ყენიშვილზეა საუბარი, რომელიც ნითელი ჯვრის სამგზის პრეზიდენტი და თავგადაკლული ნაციონალი იყო. ნაცებს ხვებებოდა, სიაში ჩამსვით, ბიძინას ვერ ვიტანო, მაგრამ არ ჩასვეს და მერე „ოცნებაში“ საქმე დავით საგანელიძემ ჩაუწყო. ნითელ ჯვარში კი მემკვიდრედ თავისი შვილი დატოვა და ახლა, როცა ეს ორგანიზაცია ჰუმანიტარულ დახმარებას არიგებს, ამბობენ, ამა „ოცნება“ გირიგებთო. როგორ უნდა ვიმეგობრო ასეთ ადამიანებთან?

— ძალიან მძიმე ბრალდებაა... წინა ხელისუფლებას კი ისეთები უკეთებია, ალბათ, „ოცნება“ კიდევ კარგა ხანს ვერ გაგვაცივებს.

— თუ ნაციონალები ასეთ რამეს აკეთებდნენ და ეს ხელი-სუფლება მათ არ იჭერს, მაშინ დასამზობია „ოცნება“, აბა, რა არის? როცა ვინმე გურამ შარაძის მკვლელობაზე მელაპარაკება, ცხვირში ეროსი კინწმარიშვილის მკვლელობა მოხვდება. ვინც ვალერი გელაშვილის ცემას მიხსენებს, იმას თავში დათო კოდუასა და ნუგზარ ნიკლაურის ცემა მოხვდება, ვინც ჩემთან ვაზაგაშვილს ახსენებს, იმას ქუთაისში, პოლიციის მიერ მანქანაში ჩაცხრილული ბიჭის საქმე მოხვდება.

— ახლა ისეთივე სულისკვეთებით, როგორც ერთი საათია, „ოცნებაზე“ საუბრობთ, ნაციონალების შეცდომებიც ჩამომითვალეთ.

— კი, ბატონო. 2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საპარლამენტო არჩევნების მხოლოდ პროპორციული შედეგები გაუქმდა, მაჟორიტარული კი დარჩა. აი, ეს იყო პირველი და უდიდესი შეცდომა, რადგან ის მაჟორიტარები მაშინ ხელებანულები ჩავგვარდნენ, ახლა ბიძინასთან გადახტნენ, ასე ხელებანულები დადიან დღემდე და ხვალ რომ ნაციონალები დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, ისევ უკან „გადმოპოვებულნი“ დღეს კურდღლების ხელისუფლება გვყავს, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებრიობას ყოველდღე ასუსტებს. ეს ხელისუფლება თავად გააკეთებს, რომ სრულიად საქართველო ქუჩაში გამოიყვანოს. მალე მათ ხალხი კაბინეტებიდან სათითაოდ გამოყრის!

საქართველი რეპორტი სისარგულს იძიებს საქართველოდან

ნათია ნოდია

„ირანის ისლამური რესპუბლიკა“ — ეს წარწერა უბრალო აღნიშვნა კი არაა, უფრო გაფრთხილებაა. გაფრთხილება, რომ იქ სხვა რეალობაა, რომელიც, გინდა თუ არა, უნდა მიიღო, დაემორჩილო. ზოგმა შეიძლება, უადგილოდ ჩათვალოს, მაგრამ ცოცხალი უცნაურობა ანეკდოტი მასხენდება, მსხვერპლს რომ ეუბნება სექსუალური მანიაკი, მოდუნდი და ისიამოვნეო... აი, ირანში, გარდა იმისა, რომ ისლამური წესების მსხვერპლი ხდები, სასიამოვნოდ დროის გატარებაც შეიძლება — ფესტა, ნუგა, ფინიკი, აღმოსავლური სანელებლებით შეზავებული ჩაი, უბადლოდ მომზადებული ბრინჯი, სათითაოდ რომ გამოარჩევ თითოეულ მარცვალს... როცა ირანში მიწვევს ჩასვლა, ვფიქრობ, რა ნავილო საჩუქრად. იქაურებს ამის დარდი ნამდვილად არ აქვთ — უმდიდრესი ქვეყანაა. ყველაფერს აწარმოებენ, სამოსიდან დაწყებული, საკვებით დამთავრებული. ყველაფერი მინდა წამოვიღო, რასაც კი გავწვდები. ჰო... ირანელებს ჩვენებური შოკოლადი უყვართ, „რუსეთის ქაქოს“ ეძახიან. ასე რომ, თუ გინდა, იქაურს პატივი სცე, ჩვენებური შოკოლადი წაუღე, ოღონდ არასოდეს დაგეგმოთ ირანში მოგზაურობა ურუჯობის (იქაური მარხვა) დროს.

პრეპარატი

ღმერთმა გიყაბულოს, — ეუბნებიან ერთმანეთს მარხვას-შედეგობილი ფერეიდნელი ქართველები. არავინ გითხრათ, მუსულმანების ურუჯი მზის ჩასვლისთანავე სრულდება, რადგან ღამის ათისნახევრამდე არ ხსნილდება. დღის განმავლობაში, წყალსაც არ სვამენ. საღამოს 9 საათზე, მოლა ლოცვის ჟამს უხმობს და მერე ნებადართული ჭამა-სმა. შემდეგი ტრაპეზი დილის 5-ის ნახევარზეა, რომლისთვისაც საგანგებოდ აქვთ მომზადებული მალევიძარა. ეს მარხვა წელიწადში ერთხელაა. მოძრავია, ოღონდ ყოველთვის ზაფხულში უნევს. მორწმუნე მუსულმანს, თუ რამე მიზეზით ვერ იმარხულა, უფლება ეძლევა, ზამთარში იყოს ურუჯი. ავადმყოფებს მარხვა ეკრძალებათ. ამას თვითონ ყურანი გვაფრთხილებსო, ამბობენ. მარხვის დროს ხშირად იკრიბებიან და ყურანს რიგ-რიგობით კითხულობენ. მზის ჩასვლისთანავე, ზოგ უბანში ირანის მთავრობა ხალხისთვის საჭმელ-სასმელს არიგებს. გაწვდილ კარებში ურუჯობის აღსანიშნავად დროშებია გამოფენილი და იქ მიაკვთ ხორაგი. ურუჯობის აუცილებელი კომპონენტი უპოვრების დახმარება და შემწეობის ცაცემაა. ზოგს, გასაცემად გადაღებული ფული ყურანში უდევს. მარხვის დროს, ხალხის თავშეყრის ადგილებში, ვერაფერს მიერთმევთ, სასმელსაც კი. ჭამის ნებას არც საკუთარ ეზოში ან აივანზე დაგრთავენ. არც ყონალს (სტუმარი) მოიწვევენ.

სასჯელი დაჯანსოებისთვის?

თითქოს არ უნდა შეგანახოს კლიმატურმა პირობებმა, მაგრამ... ირანში მცხოვრები ქალების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა მიიჩნევს, თუ ქალი ხარ, თავი უნდა შეიზღუდო: არ უნდა იარო თავშიშველა, არც კანი გამოიჩინო. თუ ვერ ეჩვევი, მარჯალი, მანტო და თავსაფარი უნდა ატარო. იქნებ, ზოგ თქვენგანს რომანტიკულადაც ეჩვენება დედაკაცთა ამგვარი თავდადება, მაგრამ მენდეთ, თუ არ ხარ მიჩვეული, გაგიჭირდება.

პერსიანიუსი

ხანძრით დაზარალებულ დევნილებს სახელმწიფო ბინას უპირატესად

14 ოქტომბერს, თევდორე მღვდლის ქუჩაზე, ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოს დევნილთა შესახლების ფლიგელს ხანძარი გაუჩნდა. 20-ზე მეტმა სახანძრო ბრიგადამ ცეცხლი სწრაფად ჩააქრო და, შესაბამისად, არავინ დაშავებულა, თუმცა რამდენიმე ათეული ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. საერთო ჯამში, ხანძარმა 1000-მდე კვადრატული მეტრი განადგურა.

როგორც დაზარალებულები ამბობენ, შენობას ცეცხლი უცებ წაეკიდა, რასაც პანიკა მოჰყვა და აღმოდებული შენობიდან ნივთების გამოტანაც ვერ მოახერხეს.

„ხანძარი უცებ გაჩნდა. შენობის სახურავი და მეორე სართული დაინვა. რომ არა მესხანძრეების ოპერატიულობა და თავდადება, უსახლკაროდ უფრო მეტი ოჯახი დარჩებოდა. დაზარალებულები, დროებით, სასტუმროში დააბინავენ, მთავრობამ პირველადი დახმარებაც გაუწია და ვიდრე შენობა არ გარემონტდება, ყოველთვიური ფულადი დახმარებაც დაუნიშნა“, — განუცხადა „ვერსიას“ თვითმხილველმა ინგა გურბანიძემ, თუმცა ერთ-ერთმა დაზარალებულმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, აღნიშნა, რომ სასტუმროში მხოლოდ რამდენიმე დღით შეასახლეს:

„ყოველდღე მოდიან გამგეობიდან და დახმარებას გვპირდებიან, მაგრამ რეალურად არაფერი კეთდება... ჩვენ ზემო აფხაზეთიდან ვართ დევნილები და აქ 2008 წლიდან



ფერეიდნელი ქართველების საყვედური და ოცნება

ცნობილია, რომ ქალებს ძვირფასეულობა უყვართ. ირანში ოქრო მაღალი ხარისხისაა, თანაც ჩვენთან შედარებით, — იაფი. იქ თითქმის ყველა მანდილოსანი სამკაულებს დააჩხრიალებს. განსაკუთრებით მოდური ამ კეთილშობილი მეტალისგან წარმოებული ე.წ. სამაჯურებია. ქალის საუკეთესო მეგობარი ბრილიანტიაო, თუ ამ გამოთქმას ეთანხმებით, ძვირფას თვლებსაც შედარებით იაფად შეიძენთ.

იქაური კაცი ოჯახისთვის, თუ საუცხოო ვერ იქნა, ცუდი იშვიათადაა. შემოტანები არიან, მშრომელები, არც მფლანგველობით გამოირჩევიან, პირიქით, ხელმომჭირნეები არიან. ფერეიდნელი რძლებისთვის, ბევრ იქაურ ქვემარტებასთან ერთად, ისიც „აქსიომაა“, რომ დედამთილი ყოველთვის მართალია, უფროსი მაზლი კი შენზე წინ უნდა გავიდეს კარში. არც ის უნდა გაგიკვირდეს, თუ მულმა პირდაპირ გითხრა, აქ საქართველო არაა, სუსტი ხარ თუ ძლიერი, სხვას ვერაფერს მოსთხოვო. ცნება — ერთი დიდი ოჯახი — იქ პირობითია და მხოლოდ სტუმრიანობისას იჩენს თავს. ძველი ქართული გამოთქმა მათი ყოფიერებისთვის ზედამოჭრილია: ყველა საკუთარ ბუხარს უკეთ უბერავს. ქართველებში არაა, მაგრამ ქორდეში (ადგილობრივი ხალხია) ძმამ ძმას შეიძლება, ძილში ყელი გამოჭრას რამდენიმე ჰექტარი მიწისთვის. არადა, მდიდარი ქვეყანაა — გაზი, ნავთობი, ოქრო... აქვს.

უანს, საბჭოთა კავშირში?

რამდენიმე ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ისე განცხრომით მოსახლეობა არსად მინახავს, როგორც ირანელები არიან საკუთარ ქვეყანაში. საჭმელ-სასმელი არავისთვისაა პრობლემა, სამოსიც იაფია, მთავრობა ავადმყოფებსა და უმუშევრებს ეხმარება. მიუწვდომელ სოფლებს პატრონობს, ფერმერებს საუკეთესო პირობებს უქმნის. ირანის მოსახლეობა ჯერ კიდევ 5 წლის წინ 80 მლნ-ს შეადგენდა. საბჭოთა კავშირი კი იმან გამახსენა, რომ ყველაფერ უცხოურს ებრძვიან. ტელევიზორში უინტერესო გადაცემებია. ხშირად მოლას ქადაგებას გადმოსცემენ. უბინაობის, უმუშევრობის, უპურობის გემო არ იციან. მაინც, ხშირად წუწუნებენ და მეტს თხოვენ ცხოვრებისგან, თორემ მთავრობის სანინააღმდეგო გამოსვლებს ისე უფრთხიან, როგორც ჩვენ — უმუშევრობას.

დაღიბითი თვისაუბრი

ფერეიდნელი ქართველი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) არასოდეს მოგატყუებს, პირდაპირი და მიაბიტი. მათი სურვილების გამოცნობა და შესაბამისი რეაგირება, არცთუ ძნელია. მათთან ურთიერთობისას თავს აზიური მენტალობაც შეგახსენებთ — ქარაგმებით საუბარიც იციან. უყვართ გამოთქმა: მულო შენ გეუბნები, რძალო შენ გაიგონეო. ფერეიდნელი ქალები, უმეტესად, წყნარები არიან — ჩვენ რომ ვიტყვით ხოლმე, სიტყვას სიტყვაზე არ ამბობსო, ისეთები. აფასებენ მეუღლის შრომას. ხშირად ილიმიან და იმედით საესენი არიან. უმრავლესობა კარგად მართავს მანქანას და საკუთარიც ჰყავთ.

ავითვისე და ხშირად ვიმეორებ: „მადლობა, ღმერთო (ჰოდა-ჰოდა)“ ... დღეში რამდენჯერმე, ჩვეულებრივ ოჯახურ გარემოში, ჰმადლობენ ღმერთს საკუთარი ყოფიერებისთვის. თავიდანვე მომეწონა. როცა მივეჩვიე, ნამდვილ მედიტაციად მექცა. არ გგონოთ, ფერეიდნელები ყველაფრით კმაყოფილი ხალხია. ის სიტყვები მხოლოდ დედებს ეკუთვნით ქმარ-შვილის ჯანმრთელობისა და ოჯახის ბარაქისათვის. საყვედურიც პირდაპირი იციან, ბევრ მათგანს გაკვირვება ვერ დაუშალავს, როგორ გვიხმობენ, დაუბრუნდით სამშობლოს, როცა, ვინც გურჯისტანს დაბრუნდა, მათი რაოდენობა თითებზე ჩამოითვლება და დღემდე არც ბინით დაუქმაცყოფილებიათ, ვერც კარგი სამსახური იშოვესო. „მა ჩემი ყმანილი რასთი არ ჩააბეს, რასთი საქმე არ მისცეს, — საყვედურს მაბარებს 65 წლის ქალბატონი, — თუ გაგეგოთ, ჩონ თქენ სისხლი და ხორცი ირანჩი ცოცხლობას ვიქთ, რასთი აქამდი არ გენახათ ჩონ თავი. დაგვაგდეთ და არც რა.“ რას ვიზამთ, ასეთია განგება პატარა და უპოვარი საქართველოს, სადაც ლუკმა-პური ძნელად იშოვება, დედამიშვილო და ოჯახური ტრადიციები კი დღემდე არ მოშლილა. არც ამაყი ფერეიდნელები ტყუიან, როცა არ უნდათ, გაიგონ საქართველოს გაჭირვება, რადგან სისხლხორცი ენატრებათ, მშობლიური მიწა 4 საუკუნის მიუხედავად მაინც უხმობთ. ამაყნი არიან, რადგან მათ გენეტიკურ მახსოვრობას ძველი ქართული შემოუნახავს. არა მხოლოდ ენა, არამედ, — ჯიში და გენი. ახსოვთ ალავერდი-ხან უნდლიაძე, „მყრალად მოუდით“, სწყინთ სააკაძის ღვანლის არად ჩავდება და ოცნებობენ იმ დროზე, როცა ირანიდან უკანმოუხედავად დაბრუნებას შეძლებენ.



ვცხოვრობთ. სამი შვილი მყავს და ხვალ, ალბათ, ქუჩაში დავრჩები. მთავრობა გვპირდება, რომ ყოველთვე, ქირის სახით, 500 ლარს გადაგვიხდის, ბინა ჩვენ უნდა შევარჩიოთ და მეპატრონე ხელშეკრულების გასაფორმებლად, მერიაში მივიყვანოთ. პრობლემა ისაა, რომ თითქმის ყველა მეპატრონე თავს არიდებს ხელშეკრულების გაფორმებას, თან ისე, რომ მიზეზსაც არ ამბობს... სად წავიდეთ, რა გავაკეთოთ, ვის მივმართოთ? სასონარკვეთილები ვართ...“
ანა ჩავიშვეა



ადვილი

სტანდარტი

რთული


ექსპერტი

	2	5		3				
	8			4	2	3		
			9					
6			7					8
		9	5		3	4		
7				2				3
			7					
	7	3	9				1	
				1	9	2		

	7			6	3	5		2
5	4							
		1		5			9	7
					1			
9			8	4	6			1
			5					
1	3			7		9		
							6	5
6	4	9	8				1	

	9		2				3	
		6		8				
1	8	5	3					
8			6			1	5	9
2	5	9			7			3
					5	3	7	2
				9		5		
1				3		8		

							4	3
		4	8	7		2	1	
				6	3	5		7
9	8					3		
			1		8			
		3					5	2
7		8	9	2				
	2	1		5	4	9		
4	9							



„ქკვიანი“ ბაღში ზაწმაცებისთვის

ერთ-ერთ ჩინურ საიტზე, სადაც თანხების გროვდება სტარტაპებისთვის, ახალი გამოგონება გაჩნდა — „ქკვიანი“ ბაღში მათთვის, ვისაც ცხოველების მჯდომარე წესი აქვს. მრავალრიცხოვანი გაფრთხილებისგან განსხვავებით, რომლებიც მომხმარებლის აქტიურობის დონეს ზომავს, ეს მოწყობილობა პირიქით, ფოკუსირებას არააქტიურობაზე ანუ სიზარმაცეზე აკეთებს. ბაღში სენსორებია, მის შექმნაზე კი ავტორებმა ხუთი წელი დახარჯეს. როგორც ჩინელი ინჟინრები ირწმუნებიან, ბაღში აფიქსირებს სუნთქვას, პულსსა და სტრესის დონეს უფრო ზუსტად და ეფექტურად, ვიდრე სხვა მოწყობილობები. მობილურთან დაკავშირებული ბაღში მფლობელს არ აძლევს წონის მატების საშუალებას — მომხმარებლის ჩვევების შესწავლის შემდეგ, „დარმა“ მფლობელს კარნახობს დასაჯდომად სწორ პოზას, შეახსენებს, როდის ადგეს, აძლევს რეკომენდაციას ფიზიკური ვარჯიშებისთვის. თუკი „ქკვიანი“ ბაღში პატრონს სტრესს დაუფიქსირებს, მას სუნთქვით ვარჯიშებს ურჩევს. ბაღში მასობრივი წარმოება გაისად იგეგმება, გაჯეტის ფასი კი დაახლოებით 200 დოლარი იქნება.

წინა ნომარში გასული სკანოვრდისა და სულოკუს პასუხები

7	6	5	9	3	4	2	1	8
2	8	4	1	7	6	5	3	9
9	3	1	8	5	2	7	6	4
6	4	9	2	1	8	3	7	5
5	2	8	7	9	3	6	4	1
1	7	3	4	6	5	9	8	2
4	5	7	3	2	1	8	9	6
3	1	6	5	8	9	4	2	7
8	9	2	6	4	7	1	5	3

მე-12 გვერდი: 1. ქამანი; 2. „ქკვიანი“; 3. მავრი; 4. ნანტი; 5. ილინჭა; 6. ოქსფორდი; 7. ქალთევა; 8. ფიგარო; 9. რური; 10. ოროვანი; 11. ნეკერი; 12. ჭრაქი; 13. ჭრიჭინა; 14. ალგორია; 15. ირიბი; 16. ენოთეკა; 17. ეკი; 18. დლე; 19. ეირე; 20. „სტიმოროლი“; 21. ბარი; 22. რთველი; 23. ნელი; 24. იმიჯი; 25. ვრონსკი; 26. ეკრანი; 27. მატრბაზი; 28. ოტია; 29. მექთები; 30. მიმიკრია; 31. ტამტამი; 32. შაბათი; 33. ლუმენი; 34. მამბა; 35. არაბი; 36. იბისი; 37. ბურვილი; 38. ნაი; 39. ტომბატი; 40. ეკო; 41. იდეა; 42. ავი; 43. ლიე; 44. ოლე; 45. იოჯი; 46. მერი; 47. ბარაბა; 48. ალთაი; 49. ონიქია; 50. ბობ; 51. სემელე; 52. დარი; 53. ქსუ; 54. ალური; 55. ჰაე; 56. თამადა; 57. თარი; 58. რატუშა; 59. ედო; 60. ულიე; 61. ერი; 62. სტიქია; 63. მოდენა; 64. აია.

ბომონას პირი თაჯუა დიდი აქვს

ეთიოპიელი 20 წლის გოგონა ატაიე ელიგიდაგნე სოფლოში ყველაზე დიდი პირის მფლობელია. ტუჩებს შორის მას სპეციალური დისკი აქვს ჩადგმული, რომლის დიამეტრიც 19,5 სანტიმეტრია, რაც თითქმის 4 სანტიმეტრით მეტია წინა რეკორდის პატრონზე. ტუჩებში ამ გიგანტური დისკის იმპლანტირებისთვის ატაიეს სამი წელი დასჭირდა. ექიმები რეგულარულად პატარაზე უჭრიდნენ პირს, რომ აქაურების ნაციონალური მორთულობა ჩატეულიყო. გარდა ამისა, გოგონას რამდენიმე წინა კბილის ამოღებაც დასჭირდა. ავსტრალიელი ჟურნალისტების განცხადებით, რომლებიც ატაიეს ტომზე ფილმს იღებდნენ, ყველა ადგილობრივი გოგონა „იმშვენებს“ თავს მსგავსი სამკაულით, სავარაუდო ქორწილამდე ერთი წლით ადრე. ასე ისინი ახალგაზრდა მამაკაცების ყურადღებას იპყრობენ. ტომში მიიჩნევა, რომ რაც უფრო მდიდარია გოგონას ოჯახი, მით დიდი ზომის დისკი უნდა ჰქონდეს პირში.



ძროხებს „პამპერსები“ ჩადებენ

ბავარიელმა ფერმერმა ორიგინალურად გამოხატა პროტესტი ევროკავშირის ახალი კანონის მიმართ, რომელიც გარემოს დაცვას ეხება. ახალი ნორმებით, ძროხას არ შეუძლია ნაკელი დადოს 15 გრადუსზე მეტად დახრილ ფერდობზე. ფერმერმა, რომლის წინააღმდეგაც ჯერ კიდევ 400 წლის წინ მწყემსავდნენ პირუტყვს ბავარიის მთიან ზონაში, საკუთარ ძროხებს „პამპერსები“ ამოაცვია. საფენებს თავად ამზადებს ზენრისგან, რადგან ძროხებისთვის პამპერსი ჯერ არ არსებობს. ცხოველები ამ სიახლის წინააღმდეგნი სულაც არ არიან, ფერმერებს კი ახალი კანონი სირთულეებს უქმნის. ამ ნორმის მიზანია, ნიტრატებით წყალსატენები არ დაბინძურებდეს. ამიტომაც ციცაბო ფერდობიან მიწაზე ნაკელის, როგორც სასუქის გაშლა იკრძალება. კანონის დარღვევის შემთხვევაში გერმანელი ფერმერები ევროპული სუბსიდიების გარეშე შეიძლება დარჩნენ, რაც მათ ბიზნესის დაკარგვით ემუქრება.



Appraisal.lc

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას



ალექსანდრა ფურსელაძე
 მისამართი: ნუსუბიძის №16ა
 ტელ.: (5)99 22 98 33
 ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

The Best Company & Best Businessmen 2013-2014 in Georgia

THE GEORGIAN TIMES MEDIA HOLDING GORBI

Annual National Business Award XV Anniversary Business Rating

The Media-Holding Georgian Times presents a National Award in the Business sphere



ქალებს იურისტი კაცები იზიდავს

გაცნობის გერმანული საიტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მსხვილი ევროპული ქალაქების მცხოვრებ მანდილოსნებს ყველაზე მეტად იურისტი და არქიტექტორი მამაკაცები იზიდავს. ამ პროფესიის მქონეებს რესპონდენტთა 25%-მა მიანიჭა უპირატესობა. ქალებისთვის მიმზიდველი პროფესიების რეიტინგში მეორე ადგილს ექიმები და ინჟინრები იკავებენ, მათ მხარს უჭერს გამოკითხული სუსტი სქესის წარმომადგენელთა 22%. 18%-იანი მხარდაჭერა მოიპოვეს მხატვრებმა და მეცნიერებმა, 17% — ჟურნალისტმა, „რეკლამშიკმა“ და მარკეტინგის სპეციალისტმა მამაკაცებმა. ძლიერი სქესის ფორმირების წარმომადგენლები — პოლიციელები ან მფრინავები, რესპონდენტთა 13%-მა დაასახელა, ბანკის თანამშრომლები კი 10%-ია მოხიბლული. გერმანულ ქალებს ყველაზე მეტად არ სურთ, რომ მათი პარტნიორები ინდემნარმები იყვნენ. მათი აზრით, ეს არა მხოლოდ არასტაბილურობას, არამედ არანორმალურ სამუშაო გრაფიკასაც გულისხმობს.



ყავის ნაღები სწავლავს?

ადამიანების უმრავლესობა, ყოველ დღით, ალბათ, ერთ ფინჯან ყავას მაინც იღვლეოს. ვისაც ნაღებიანი ყავა უყვარს, იცის, რომ მადულარაში ან ფინჯანში ბოლოს ყოველთვის რჩება ყავის მასა, რომელიც გარეცხვისას ნიჟარაში მიდის. სწავლულები კი აცხადებენ, რომ, თუ მთელ გამოყენებულ ნაღებს მოვარგოვებთ (მსოფლიოში ნამდვილად დიდი რაოდენობით ყავას სვამენ და შესაბამისად, ნაღებიც ბევრი დარჩება), მისგან ეკოლოგიურად სუფთა საწვავის მიღება შეიძლება, რასაც არა მხოლოდ ავტომანქანებში გამოვიყენებდით, არამედ ენერჯის მოხმარების სხვა წყაროებისთვისაც. აშშ-ს ცინცინატიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეიმუშავეს მეთოდი, რომლის მიხედვითაც, ყავის ნაღები ენერგეტიკულ წყაროდ იქცევა. ჯერ კიდევ 2010 წელს სწავლულებმა დაიწყეს ტექნიკის შემუშავება ყავის ნარჩენების კონვერტაციაზე, რომელსაც შტარბუცკის-ის ქსელის კავებისგან იღებდნენ. კონვერტაცია ნაღების გაშრობას, მის დაპრესვას ბრიკეტებად და შემდგომში განმუხტვას ითვალისწინებს, საბოლოოდ კი საწვავისმავარი ბიომასა მიიღება.

ბაზრჯვები 30 კომპანია

- ბაზის ბანკი
- გალფი
- გეოპლანტი
- ვაგონშენებელთა ჰოლდინგი
- ვისოლ ჯგუფი
- ვითიბი ბანკი
- თეგეტა მოტორსი
- თიბისი ბანკი
- კოდა
- კომპანია ავერსი
- ლიბერთი ბანკი
- ლუდსახარში ზედაზენი
- ნიკორა
- თრბი ჯგუფი
- ჰსპ ჯგუფი
- პეტროკას ენერჯი გრუპი
- პროკრედიტ ბანკი
- რუსთავის აზოტი
- რუსთავის მეტალურგიული ქარხანა
- საქართველოს ბანკი
- სარაჯიშვილი
- საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი
- სოკარ ჯორჯია გაზი
- ჯეოსელი
- ჯეოსთილი
- ჯორჯიან ამერიკან ელვის
- GWP-ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ
- DWC-გომი
- NCC
- RMG

ჰენელოპა — ყველაზე სექსუალური

პოპულარულმა გამოცემამ Esquire ესპანელი მსახიობი ჰენელოპა კრუსი პლანეტაზე ყველაზე სექსუალურ მანდილოსნად დაასახელა. პირენეელი ვარსკვლავი მე-11 ქალაი, რომელსაც ჟურნალმა ეს საპატიო ტიტული მიანიჭა. სხვადასხვა დროს, გამოცემის შეფასებით, ყველაზე მომხიბვლელი და მიმზიდველი ქალები იყვნენ ანჯელინა ჯოლი, სკარლეტ იოჰანსონი, შარლიზ ტერონი, ჰოლი ბერი, რიანა და სხვები. Esquire-თან ინტერვიუში 40 წლის ჰენელოპა აცხადებს, რომ მოხარულია მისი გარეგნობის ასეთი შეფასებით, ამბობს, რომ, როგორც კარიერის დასაწყისში, დღესაც დრამატული როლების შესრულება უფრო იზიდავს. პირად ცხოვრებაზე კი, ტრადიციულად, არ ლაპარაკობს მედიასთან. კრუსი 2010 წელს დაქორწინდა ასევე ცნობილ ესპანელ მსახიობზე, ხავიერ ბარდემზე, მათ ორი შვილი — ლეონარდო და ლუნა ჰყავთ.



ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უპკ)070.48:32(479.22)3-387

დაფუძნებული და მთავარი ოფისი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი ოფისი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიკონი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი — ნინო ებანოძე
დიზაინერი — გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.